ეროვნული ბიბლიოთეკა


# „ლელო“

№ 59 (11 208)

28 – 30 ივლისი, 1998 წ.

ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან





ვახტანგ ბალავაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირის მიმოხილვა იხ. მე-5 გვ.

*ვახტანგ ბალავაძის წონაში გამარჯვებულმა ალექსანდრე კახნიაშვილმა გამარჯვებულის ჯილდო თვით ლეგენდარული ფალავნისგან მიიღო*

## SOS ცხელ კვალზე

# მიდით, მიდით, ვიდრე მართლა განუკითხაობაა...

თურმე, უბედობა, მხოლოდ ადამიანების თანამდევი როდია. უფროსი თაობის თბილისელებს ახსოვთ რა მშვენიერი ადგილი იყო სანაპიროზე, იქ, სადაც, მერე რესტორანი „არაგვი“ გაშენდა. ამ მწვანეში ჩაფლულ ტერიტორიას, სპორტული ბაზებითაც რომ იყო დამშვენებული, ფიზკულტურელთა პარკი ერქვა.

უბედობას წინ მართლაც ვერაფერი აღუდგება, თვით კომუნისტურმა ხელისუფლებამაც ვერ შეაჩერა სანაპიროზე ფიზკულტურელთა პარკის ნგრევა-განადგურების პროცესი, რომელიც სამწუხაროდ, დღესაც გრძელდება.

*გუშინ, რედაქციაში ღვაწლმოსილი მანდილოსანი, ჩვენი სახელოვანი ვეტერანი ტანმოვარჯიშე, ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, ქალბატონი მზია ჯუღელი შეგვეხმიანა. ქვემოთ ვაქვეყნებთ მისი გულისწყრომის ბარათს.*

## ქვირფასო ლელოელებო!

მოგმართავთ აღელვებულ-აღშფოთებული, რადგან ამის სრული საფუძველი გამაჩნია. დღეს, 27 ივლისს, დილით, როცა სამსახურში ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნულ ფედერაციაში მივედით, საოცარი ამბავი ვიხილეთ – მუშები და ტექნიკა მისდგომიან სანაპიროზე ტანვარჯიშის დარბაზის შესასვლელთან მიმდებარე ტერიტორიას და გამალებულები თხრიან იქაურობას. ეტყობა, დრო იხელთეს, შაბათ-კვირას წამოიწყეს ეს საქმე თორემ ამდენს, მხოლოდ ამ დილით, ვერ მოასწრებდნენ. ყოფილ ფიზკულტურელთა პარკში, ლამის გოჯი მიწა აღარ დარჩეს აუთვისებელი. რაც მთავარია, ჩვენც გვავიწროვებენ. ტანვარჯიშულ დარბაზში სპორტული და მხატვრული ტანმოვარჯიშეებისა და აკრობატების გარდა, სპორტის სხვა სახეობების წარმომადგენლებიც ვარჯიშობენ. ჩვენი ნაკრები გუნდების ძირითადი ბაზაც ეს არის და, თქვენ წარმოიდგინეთ, ის, ვისაც წესრიგის დამყარება ევალება და ეს, პირველ ყოვლისა, დედაქალაქის მერიას ეხება, ისე იქცევიან, თითქოს ჩვენ საერთოდ არ ვარსებობთ ამ ქვეყანაზე.

ჯერ იყო იქვე კაფე-რესტორანი ჩადგეს გამწვანების ხარჯზე (ვითომ რესტორანი „არაგვი“ არ კმაროდა?), ახლა კი, თურმე, ავტოსამრეცხაოს ჩასადგმელად გაუცია ნებართვა მერიას.

რაღაც ხმა ამ ჩანაფიქრის შესახებ ადრეც მოვიდა ჩვენამდე და ფედერაციამ ქალაქის მერს, ბატონ ბადრი შოშიტაიშვილს აცნობა, რომ ავტომომსახურების გაშენება სპორტული დარბაზის მიმდებარე გამწვანებული ტერიტორიის ხარჯზე დანაშაული იქნებოდა. ქალაქის მერს რეზოლუციაც დაუდევს ამ განცხადებაზე იმის მინიშნებით, რომ გამწვანებისთვის ხელი არ ეხლოთ, ე.ი. ამ ტერიტორიის ათვისება არ შეიძლებოდა. წერილი ხსენებული რეზოლუციით ბ. შოშიტაიშვილს ვიცე-მერ ბიბილეიშვილისთვის გადაუცია. ბიბილეიშვილმა კი რა ზომებიც გაატარა უკვე ყველასთვის გამომზეურდა – მშენებლები შესაშური ტემპით ანადგურებენ აქაურობას.

ზემოაღნიშნული ფაქტის გამო გამოვთქვამ პროტესტს და მოვუწოდებ თბილისის მერიის ხელმძღვანელებს, ქალაქისა და რაიონის არქიტექტორებს, რაიონის გამგეობას, მწვანეებს – შეაჩერეთ მოძალადეები. გამოასწორეთ შეცდომა, დედაქალაქს ნუ დაუმახინჯებთ იერსახეს – სპორტსმენებს და ადამიანებს, ვინც აქ მოღვაწეობენ – სულს!

პატივისცემით

მზია ჯუღელი

*საქართველოს ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი*

# იწვევენ სანეევს, სალუქვაძეს და ხახალეიშვილს

საბერძნეთის ოლიმპიურ ჩემპიონთა ასოციაციამ გადაწყვიტა ოლიმპიაში ჩაატაროს ოლიმპიურ ჩემპიონთა პირველი საერთაშორისო კონგრესი. საქართველოდან კონგრესზე, რომელიც წლეულს 20-23 სექტემბერს გაიმართება, მიწვეულნი არიან ვიქტორ სანეევი, ნინო სალუქვაძე და დავით ხახალეიშვილი. სანეევი, როგორც ცნობილია, ავსტრალიაში მოღვაწეობს და ეს მიწვევა ვიქტორს სიდნეიში გაუგზავნა საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა.

## მილოცვა

ვეტერანი ფეხბურთელები და თანაკლუბელები დაბადებიდან 65 წლისთავს ულოცავენ თბილისისა და კიევის „დინამოს“ ყოფილ ფეხბურთელს *ნიკო ცაგარეიშვილს*

# ნინო სალუქვაძეს საპრიზო ადგილისათვის „ნამცეცი“ დააკლდა

ტყვიის სროლაში ასეთი რამ იშვიათად ხდება. მაგრამ ამჯერად მოხდა და ნინო სალუქვაძეს მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალი დააკარგვინა. ბარსელონაში გამართულ ამ შეჯიბრებაში სპორტული პისტოლეტის 25 მ. სროლაში რუსეთელმა მარინა ლაგვინენკომ საბოლოო ჯამში მოაგროვა 683 ქულა (584+99), ნინო სალუქვაძემ — 682,9 (583+99,9) და მესამე ადგილი ლაგვინენკოს ხვდა წილად, მეოთხე, ცხადია, ნინო სალუქვაძე იყო. ისე, ამ ორ აღიარებულ ოსტატს, შედარებით ნაკლებად ცნობილმა აზერბაიჯანელმა ირაიდა აშუმოვამ გაუსწრო — 685,5 (583+100,5), მსოფლიოს ჩემპიონი კი ჩინელი იეძინ საი გახდა — 587 (790+97,3), გუნდურ შეჯიბრებაში კი (ნინო სალუქვაძის გარდა გამოდიოდნენ ნინო უჩაძე და დარეჯან დუმბაძე) ჩვენმა ნაკრებმა 851 ქულით მე-17 ადგილი დაიკავა. გაიმარჯვეს ბელარუსელებმა — 868, მეორე იყო შვედეთის — 864, მესამე — ბელგიის — 864 გუნდები.

მანამდე ჩვენი ნაკრები, იგივე შემადგენლობით, 10 მ. პანევმატური იარაღით შეჯიბრებაში ასპარეზობდა. სამწუხაროდ, მაღალი შედეგები გუნდმა ვერ აჩვენა — 1112 ქულით მე-18, მე-19 ადგილები გაიყვეს (სალუქვაძე — 382, უჩაძე — 370, დუმბაძე — 360). საპრიზო ადგილები კი ასე განაწილდა: 1. რუსეთი — 1145, 2. ჩინეთი — 1141, 3. გერმანია — 1138, ამავე სახეობაში ინდივიდუალურ შეჯიბრებაში სალუქვაძემ 382 ქულით მე-10, მე-11 ადგილები გაიყო (98,95,93,97), უჩაძემ და კიდევ ექვსმა მსროლელმა თანაბარი ქულები 370-370 მოაგროვეს და 72-ე, 78-ე ადგილები გაიყვეს (სერიებში უჩაძის შედეგი იყო 92,93,95,90), დუმბაძემ კი 360 ქულით (89,91,89,91) 100-ე, 102-ე ადგილები გაიყო 111 მონაწილეს შორის. სამეული კი ასე გამოიყურება.

1. მუხბაიარი — 484,1, 2. ინა და იოკო (იაპონია) — 484, 3. ლოლიტა მილჩინა (ბელგია) — 482.



## მისაღები გამოცდები

**ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიას როცა ვახსენებთ, თვალწინ წარმოგვიდგება საქართველოს ერთ-ერთი უძველესი სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებელი, სპეციალისტთა და სპორტსმენთა აღზრდა-დაოსტატების ჭეშმარიტად ეროვნული კერა. მის კედლებში გაუტარებია სპორტული ზეობის წლები არაერთ ოლიმპიურ, მსოფლიო თუ ევროპის ჩემპიონს და რეკორდსმენს, აგრეთვე, შემდგომში, ჩვენს ქვეყანაში, და არა მხოლოდ ჩვენში, სახელგანთქმულ სპორტულ მუშაკს, უბრალოდ, თუნდაც, ღირსეულ მოქალაქეს.**

# ღიმილი აკადემიაში...

ეს სასწავლებელი უკვე რამდენიმე წელია განახლებული ცხოვრების წელთაღრიცხვით ცხოვრობს. მძიმე იყო და კვლავ მძიმედ გადასატანი რჩება ეს წლები, – სასწავლებელმა ფუნქცია, ცხადია, არ უნდა დაკარგოს, პირიქით, ახალი ყოფის მოთხოვნებს უნდა მოერგოს, ქვეყანას ერის სახელის გამადიდებელი ჩემპიონები და სპეციალისტები კვლავ მოუმზადოს...

– რომ მცოდნოდა, რომ 7-8 წლის შემდეგაც კი არაფერი შეიცვლებოდა, პირიქით, ჩვენს შრომას ქვეყანაში ასე აბუჩად აიგდებდნენ, თავიდანვე სხვა გზას ვეწეოდით – დაიჩივლა ერთმა სტაჟიანმა პედაგოგმა და მეცნიერმა, როცა ამ დღეებში აკადემიის დერეფანში შემთხვევით შევხვდით. შემთხვევით, ვამბობთ იმიტომ, რომ არდადეგებია და არ მოველოდით. მერე თვალი სხვებსაც მოვკარით. თურმე ეს ადამიანები ყოველდღე მოდიან აკადემიაში, იმ იმედით, რომ იქნებ დარჩენილი ხელფასი და შვებულების ფული მიიღონ, შემდეგ კი თბილისის ცხელ დღეებს დროებით მაინც განარიდონ თავი.

დამძიმებული გულით შევაღეთ რექტორის კარი, რომელთანაც აკადემიაში მისაღებ გამოცდებთან დაკავშირებით შეხვედრა წინა დღით დავთქვით.

რექტორი, პროფესორი ომარ გოგიაშვილი თავადაც უზომოდ შეწუხებული ჩანდა. მერე და მერე, როცა ჩვენს საუბარში სასწავლებლის ფინანსებსაც შევეხეთ, ეს კაცი, მუდამ, რომ ოლიმპიური სიმშვიდით გამოირჩევა, ერთბაშად აფორიაქდა. აგერ მისაღები გამოცდები დაიწყო, მაგრამ როგორ გინდა მთლიანად გადაერთო ამ პროცესში, როცა ყოველდღე, ყოველ წუთსაც კი 300 თანამშრომლის ბედი გაწუხებს, ვერ გამონახავ სიტყვებს, რომელიც ამ ადამიანებს დაამშვიდებს, კიდეც რომ გამონახო, საკუთარი თავი როგორ გინდა დაამშვიდო, ხვალ ხომ ისევ

იხ. მე-2 გვ.


**სააქციონერო საზოგადოება სპორტული კომპლექს „ლაგუნა-ვერე“-ს აქციონერთა საყურადღებოდ!**

მ/წლის 15 აგვისტოს 10 საათზე ჩატარდება აქციონერთა საერთო კრება შემდეგი დღის წესრიგით:

1. სამეთვალყურეო საბჭოს არჩევნები.
2. სტრუქტურული ცვლილებების შესახებ.
3. აქციების მფლობელობის საკითხი.
4. სხვადასხვა.

დასწრება სავალდებულოა.

სააქციონერო საზოგადოების დამკვირვებელთა საბჭო

# ღიმილი აკადემიაში...

(პირველი გვერდიდან)

იგივე ფიქრი, იგივე პრობლემა დაგიზაფრავს სულსა და გულს.

– ორი პრობლემა მუდამ გვაწუხებს – ჯერ ბიუჯეტიდან გამოყოფილი ფულის ანგარიშის გახსნა, შემდეგ ხაზინიდან მისი მიღება. სამწუხაროდ, ხშირად კაცი იძულებული ხდება თავმოყვარეობასაც კი აღარ გაუწიოს ანგარიში. წარმოიდგინეთ, რა გრძნობა დაგეუფლება, როცა ამჩნევ, რომ ჩინოვნიკების თვალში ყველა ადამიანი დამცირების ობიექტია – ამბობს რექტორი.

ბოდიშს ვიხდით აკადემიის ყველა თანამშრომელთან, რომ მათ გულისტკივილს ასე საჯაროდ შევეხეთ.

ახლა კი, მისაღებ გამოცდებთან დაკავშირებით რექტორთან „ლელოს“ ტრადიციულ სტუმრობას დავუბრუნდეთ.

● ***ბატონო ომარ, საერთო გაჭირვებამ და ღირებულებათა გადაფასებამ რა ზეგავლენა იქონია სასწავლებლის პროფილზე?***

– ძირითადი ფუნქცია და პროფილიც, მცირეოდენ კორექტივებს თუ არ ჩავთვლით, უცვლელი რჩება. კვლავინდებურად ვამზადებთ სპეციალისტებს სპორტის ცალკეულ სახეობებში, აგრეთვე პედაგოგებს და დარგის ცალკეული მიმართულების კვალიფიციურ მუშაკებს. აღარაფერს ვამბობ მეორად ფაკულტეტზე, რომლის დაუფლება კვლავ გრძელდება ახალი მოთხოვნების გათვალისწინებით.

● ***ალბათ აკადემიის სასწავლო პროგრამებიც ახალ ყალიბში მოექცა...***

– რა თქმა უნდა.

● ***ახლა ბევრს ლაპარაკობენ, რომ შემცირდა აბიტურიენტთა კონტიგენტი ნებისმიერი საკუთრებისა და პროფილის უმაღლეს სასწავლებლებში, ეს თქვენთანაც იგრძნობა?***

– შესამჩნევად არა, მდგომარეობა სტაბილურია, ანუ ბოლო წლების დონეზე ვართ.

● ***კონკურენცია სად უფრო მეტია?***

– ძიუდოში, ჭიდაობის სხვა სახეობებში, ფეხბურთში...

● ***ალბათ არის ისეთი სპეციალობაც, რომელიც ქვეყანას სჭირდება, მაგრამ ნაკლებად არიან მსურველები...***

– როგორ არა, სწორედ ასეთია დაწყებითი სამხედრო სწავლების მომზადებისა და ფიზიკური აღზრდის პედაგოგის სპეციალობა. მეორე წელია, დადგენილ ვადებში ვერ ვავსებთ კონტიგენტს და მიღებას ვაგრძელებთ. საქმე იმაშია, რომ ამ ფაკულტეტზე მხოლოდ ჯარგამოვლილი ახალგაზრდები მიიღებიან. ჩვენნაირ უმაღლეს სასწავლებელში ბევრი იმიტომაც შედის, სამხედრო მომზადებას შესაბამის კათედრაზე გაივლის. ჯარგამოვლილი კი აქ სასწავლებლად აღარ მოდის.

საბუთების მიღება 17 აგვისტომდე გრძელდება აგრეთვე ფასიანი სწავლების ყველა ფაკულტეტზე. რის შემდეგ ჩატარდება დებულებით გათვალისწინებული გასაუბრებები და გამოცდები.

● ***ფასიანი სწავლების ფაკულტეტები, აკადემიის ძირითადი ფაკულტეტებისგან განსხვავებულია?***

– არა, ერთი და იგივეა. ოღონდ, წლეულს სიახლეა – ახლა ფასიანი სწავლების შემადგენელი ნაწილი გახდა სხვა ფაკულტეტებიც, რომლებიც გააჩნიათ ივ. ბერიტაშვილის სახ. თბილისის სამედიცინო ინსტიტუტს „მედიკოსს“, სტომატოლოგიურ, უცხო ენებისა და ლიტერატურის ინსტიტუტებს. უმაღლესი სასწავლებლები აკადემიასთან ფუნქციონირებენ.

● ***პარალელური სწავლებაც ხომ არაა ნებადართული?***

– ეს გამორიცხულია, პარალელურად სტუდენტებს შეუძლიათ ისწავლონ მხოლოდ მეორად ფაკულტეტზე.

● ***თქვენთან ჩვენი საუბრის განმავლობაში მიმღები კომისიის წევრები დროდადრო შედეგებს მოგახსენებენ. ჩვენი ყურადღება მიიპყრო რამდენიმე უკვე ცნობილი სპორტსმენის გვარმა. ისინიც თქვენთან აპირებენ სწავლის გაგრძელებას?***

– ოო, ამ მხრივ წლევანდელი მიღება, მართლაც გამორჩეულია. სახელოვანი სპორტსმენების დეფიციტს აბიტურიენტთაგან არასოდეს განვიცდიდით, მაგრამ წლეულს მსურველთა რიცხვმა მოლოდინს გადააჭარბა. მათ შორის ისინიც არიან, რომლებმაც სულ ახლახან მოსკოვში მსოფლიო ახალგაზრდობის თამაშებზე წარმატებით იასპარეზეს. თავისუფალ ჭიდაობაში ამ თამაშების ჩემპიონმა შოთა ბოგოლაშვილმაც ჩვენთან ირჩია სწავლის გაგრძელება.

● ***ბავშვთა ექსპერიმენტულმა სკოლამ, რომელიც თქვენთან გაიხსნა 80-იანი წლების მეორე ნახევარში, ბევრი ნიჭიერი სპორტსმენი მოუმზადა საქართველოს ნაკრებ გუნდებს. ახლა ალბათ მათაც უწიათ სტუდენტობის წლებმა...***

– ზოგიერთი არის კიდეც ჩვენი სტუდენტი, წლეულს მათგან ახალი ნაკადი შემოვა აკადემიაში.

● ***ახლახან კალათბურთის აკადემიაც შექმენით...***

– იმედი გვაქვს ეს ნაბიჯიც გაამართლებს. ჩვენში უყვართ კალათბურთ, ნიჭიერი მოზარდების სამსახურში ჩადგებიან ვეტერანი, წარსულში პოპულარული კალათბურთელები. ესეც ხომ დიდი საქმეა.

● ***საკუთარი გუნდების ტრადიციების აღდგენას ხომ არ აპირებთ...***

– ის დრო წავიდა. ახლა გუნდს სოლიდური სპონსორის დაუხმარებლად ვერ შეინახავ. ბიუჯეტზე აღარ მინდა საუბარი. ისე, დაფინანსება რომ იყოს, სათამაშო სახეობებში საქართველოში უძლიერესი გუნდები გვეყოლებოდა. ახლა იძულებული ვხდებით დავეხმაროთ, სხვა გუნდებში ვათამაშოთ ჩვენი სტუდენტი სპორტსმენები. და მაინც, სპორტის დეპარტამენტთან ერთად ვქმნით ვაჟ კალათბურთელთა გუნდს, რომელიც წლეულსვე ჩაერთვება ეროვნულ ჩემპიონატში.

● ***ბატონო ომარ, მისაღები გამოცდები უკვე დაიწყო. დღეს თქვენთან სხვა უმაღლესი სასწავლებლების ლექტორებიც შევნიშნეთ...***

– ისინი მოწვეული გვყავს. მაგრამ ჯერ ძირითადად გამოცდები ტარდება სპორტის არჩეულ სახეობაში და ფიზიკურ მომზადებაში, სადაც გამომცდელები მხოლოდ ჩვენი აკადემიის სპეციალისტები არიან. საგნებში გამომცდელებად კი ფიზიოლოგიის ინსტიტუტის და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგ-მასწავლებლები მოვიწვიეთ.

● ***ბოლო წლებში დამკვიდრებული ტრადიციით ახალ სასწავლო წელს ყველა 1 სექტემბერს როდი იწყებს...***

– გეთანხმებით, მაგრამ ჩვენ ძველი ტრადიციისთვის არასოდეს გვიღალატია. როცა მიზეზთა და მიზეზთა გამო ზამთარში სრული დატვირთვით მუშაობა სასწავლებელში შეუძლებელია, განა გვაქვს უფლება სექტემბერი უქმად გაატაროთ?..

ესაუბრა თ. თომაშვილი

**P.S. რექტორის კაბინეტიდან გამოსულმა, ვიდრე შენობას დავტოვებდი, შევნიშნე, რომ ამდენი პრობლემის მიუხედავად, სასწავლებლის თანამშრომლები, დერეფანში, ოპტიმიზმის უპირველესი ნიშნით, ღიმილით ეგებებოდნენ ერთმანეთს...**

## ლელო-ს ფოტოთვალი



*ქართული სპორტის სახელოვანი ვეტერანები: მარცხნიდან – ნოდარ ჯორჯიკია, რაფაელ ჩიმიშკიანი, ოთარ ქორქია და რეზო გოგელია.* *ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო*

## მათთან ვართ, ვინც სამართლიანობისათვის იბრძვის

**ვუბრუნდებით დაბეჭდილს**

***„ლელოს“ 56-ე ნომერში გამოქვეყნდა კრიტიკული წერილი სათაურით „დაუბრუნეთ ბავშვებს დისპანსერი“, რომელიც ეხებოდა თბილისში ყოფილი ჩიტაძის ქუჩაზე ბავშვთა პროფილაქტიკურ-სამკურნალო დაწესებულების ახლანდელ ბედს და მის მომავალს. იქვე ვწერდით, რომ უნდა გაირკვეს სიმართლე, რომ „ამ ძიებაში „ლელოც“ ჩაერთვება და ყველას თანადგომას ვუცხადებთ, ვინც ბოლომდე იბრძოლებს სამართლიანობისათვის“.***

**და აი, სრულიადაც არ იყო მოულოდნელი, რომ ერთ-ერთი პირველი, ამ პუბლიკაციის შემდეგ, შეგვეხმიანა ზემოხსენებული დაწესებულების ამჟამინდელი ხელმძღვანელობა, რომელთა თხოვნით ვეწვიეთ კიდეც ამ ორგანიზაციას.**

**ბავშვთა ამ სამკურნალო დაწესებულებაში ადრეც ხშირად ვყოფილვართ. ბოლო სართულზე ჩასახლებულ ლტოლვილებს, შემოსავლისთვის კანონიერად გაცემულ სათავსოებს თუ არ ჩავთვლით, ეს ობიექტი ისევ ძველებურად გამოიყურება. ამას რომ ვამბობთ, მხოლოდ შენობის გარეგნული იერი არ გვაქვს მხედველობაში, დავათვალიერეთ კაბინეტები და ლაბორატორიები, ფიზიოთერაპიის, ანუ სამკურნალო ფიზკულტურის დარბაზი, ინვენტარიც შეუნარჩუნებიათ. რაც მთავარია, სპეციალისტებიც მზად არიან ემსახურონ თავიანთ საქმეს, მაგრამ... ახლა აქ კანტიკუნტად თუ გამოჩნდებიან მოზარდები და მათი მშობლები. დაწესებულება, რომელიც ადრე თბილისის 39 სპორტული სკოლისა და 198 საშუალო სკოლის ურიცხვ კონტიგენტს ემსახურებოდა, იმ ბედნიერი დღის მოლოდინშია, როცა, თუნდაც რამდენიმე ათეული ნორჩი სპორტსმენი მიაკითხავს გამოკვლევისა და პროფილაქტიკისათვის, სპორტულ რეაბილიტაციაზე რომ აღარაფერი ვთქვათ.**

**— ვის არ მივმართეთ, რომ მოიყვანონ ბავშვები, მაგრამ ფულის გადახდა არც განათლებისა და არც სპორტულ ორგანიზაციებს არ სურთ. უსახსრობის გამო, ვერც მშობლებს მოჰყავთ ბავშვები. მომსახურება ჩვენთანაც ფასიანია. შემოსავლები კი აუცილებელია, რადგან ეს დაწესებულება პრივატიზებულია და ფინანსურად ხელის შემშველებელი არავინ გვყავს — ამბობს მთავარი ექიმი, ქალბატონი ნატა სახეჩიძე, რომელიც სულ ახლახან კოლექტივის წარდგინებით დაუმტკიცებიათ მთავარ ექიმად.**

**მართალია, ობიექტი პრივატიზებულია, მაგრამ მისთვის მთავარი ფუნქციის „დავიწყების“ უფლება არავის მიუცია. პროფილი შენარჩუნებულია, ისახება მისი გაფართოების პერსპექტივაც, მაგრამ რად გინდა, როგორც ზემოთ ითქვა, პაციენტებია „სანთლით საძებნი“. პაციენტს კი მხოლოდ სურვილით და შეძახილით ვერ მიიყვან ექიმთან...**

**ახლა ამ დაწესებულების შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებად ჩამოყალიბების საკითხია დღის წესრიგში. მას შემდეგ, რაც სასამართლო ამ ორგანიზაციას ახალ იურიდიულ სტატუსს მიანიჭებს, ბევრი რამ გაირკვევა და ჩვენც კვლავ დავუბრუნდებით ამ თემას.**

თ. ჯაფარიძე

## სუმო დაფუძნდება



**სუმო** ახალ სიცოცხლეს იძენს. კარგა ხანია ამ უძველესმა ხალხურმა სანახაობითმა ორთაბრძოლამ მოდერნიზება განიცადა – წონითი კატეგორიები დადგინდა და მთავარ სპორტულ მოთხოვნებს დაექვემდებარა. დღეს სუმოს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ნერგავენ და წინაც იყურებიან, რადგან მას მომავალში სპორტის ოლიმპიურ სახეობად აღიარების დიდი პერსპექტივა აქვს.

როგორც ვიუწყებოდით, სუმოს მიმდევრები საქართველოშიც გამოჩნდნენ. და აი, ენთუზიასტებმა, რომლებიც საორგანიზაციო კომიტეტში გაერთიანდნენ, ამ დღეებში საგანგებო სხდომა ჩაატარეს. როგორც გადაწყდა, საქართველოს სუმოს ფედერაცია ახლო მომავალში დაფუძნდება.

## ქობულეთში ჭადრაკის ბუმი გრძელდება




***ამ დღეებში საქართველოს ჭადრაკის ფედერაციამ, საქართველოს განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდისა და სამხედრო მომზადების მთავარმა სამმართველომ, ნანა იოსელიანისა და ზურაბ აზმაიფარაშვილის ბავშვთა და მოზარდთა ჭადრაკის სკოლამ და ქობულეთის რაიონის ჭადრაკის ფედერაციამ ჩაატარა კიდევ ორი საჭადრაკო ფესტივალი „საქართველო - 98“ და „ივერია-98“.***

### «საქართველო-98»

***„ა“ ტურნირი: 10 წლის ჭაბუკები:*** 1. არჩილ მჟავანაძე – 11 ქულა. 2. ბესიკ კაკალაძე (ორივე – ქობულეთი) – 10.5. 3. გიორგი მარგველაშვილი (თბილისი) – 9.

***10 წლის გოგონები:*** 1. ანა ქარდავა (სოხუმი) – 6, 2. თამარ მჟავანაძე (ქობულეთი) – 3,5. (ითამაშეს ბიჭების ტურნირში).

***„ბ“ ტურნირი. 8 წლის ჭაბუკები*** 1. გიორგი მგალობლიშვილი (ქობულეთი) – 10, 2. ბექა მანჯავიძე, 3. ლევან ბრეგვაძე (ორივე – თბილისი) – 6,5-6,5.

***„გ“ ტურნირი. (საკვალიფიკაციო) 15 წლის ჭაბუკები:*** 1. ირაკლი ნადირაძე (ქობულეთი) – 7,5, 2-4. მიხეილ ნასყიდაშვილი (თბილისი), სალომე ცინცაბაძე, დავით ლომთაძე (ორივე – ქობულეთი) – 6-6.

### «ივერია – 98»

***„ა“ ტურნირი. 12 წლის ჭაბუკები:*** 1. არჩილ მჟავანაძე (ქობულეთი) – 4,5. 2. გიორგი ქორიძე (თბილისი) – 3, 3. სალომე ცინცაბაძე (ქობულეთი) – 2,5.

***„ბ“ ტურნირი. 10 წლის ჭაბუკები:*** 1. გაიოზ ნიგალიძე (ბათუმი) – 8,5, 2. ბესიკ კაკალაძე (ქობულეთი) – 6,5, 3. ნოდარ მიქელაძე (ორივე – ქობულეთი), 4. ლევან სამნაშვილი (თბილისი) – 5,5-5,5.

იხ. მე-5 გვ.

# სფფ „ლმობიერი“ ხდება, თუმცა...

## საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომმა დაამტკიცა საქართველოს 1998–99 წლების X ჩემპიონატის დებულება. წინა გათამაშებებთან შედარებით მასში მნიშვნელოვანი ცვლილებებია

ჯერ ერთი, ახალი ჩემპიონატი გაიმართება ორ, და არა სამ ჯგუფად, როგორც ეს უწინ იყო. პირველ ჯგუფში თექვსმეტი გუნდია, მეორე კი ტერიტორიული პრინციპით ოთხ ქვეჯგუფად დაიყოფა.

პირველ ჯგუფში ბოლო ორ ადგილზე გასული გუნდი შემდგომ, XI ჩემპიონატში გადაინაცვლებს მეორე ჯგუფში, ხოლო XIII, XIV ადგილზე გასული გუნდები, ჯგუფში ადგილის შესანარჩუნებლად, ნეიტრალურ მინდორზე, ფიფას წესებით, ატარებენ ერთ მატჩს. გამარჯვებული ინარჩუნებს ადგილს პირველ ჯგუფში, ხოლო დამარცხებული ნეიტრალურ მინდორზე ერთ მატჩში ხვდება *ხიძლიერით* მესამე გუნდს. სიტყვა „სიძლიერით“ შემთხვევით არ გვიხმარია. და, აი რატომ. მეორე ჯგუფის აღმოსავლეთ მხარის „ა“ და „ბ“ ქვეჯგუფებში გამარჯვებული გუნდები ნეიტრალურ მოედანზე, ფიფას წესებით ერთ მატჩში ხვდებიან ერთმანეთს. მოგებული გუნდი XI ჩემპიონატში იასპარეზებს პირველ ჯგუფში. ასევე იქნება დასავლეთ მხარეშიც. ამ ორ თამაშში დამარცხებული გუნდები ნეიტრალურ მინდორზე ატარებენ ერთ მატჩს. მასში გამარჯვებული ნეიტრალურ მინდორზე შეხვდება პირველ ჯგუფში XIII, XIV ადგილზე გასულ გუნდებს შორის ჩატარებულ თამაშში დამარცხებულს. მოგებული გუნდი შემდგომში პირველ ჯგუფში იასპარეზებს.

ახალ გათამაშებაში კვლავ შენარჩუნებულია მასპინძელი გუნდების მიერ მსაჯებისა და სფფ-ს დელეგატების ადგილზე შრომის ანაზღაურების წესი. პირველ ჯგუფში არბიტრს, ერთ მატჩში გადაუხდიან 100 ლარს, ხოლო ორივე ასისტენტს, დამხმარე მსაჯს და დელეგატს — 80-80 ლარს თითოეულს. მეორე ჯგუფში, შესაბამისად, ისინი მიიღებენ 80 და 60-60 ლარს.

სახეშეცვლილია დებულების ის პუნქტი, რომელიც ითვალისწინებს მსაჯის ან დელეგატის ფიზიკური შეურაცხყოფის გამო გუნდისათვის ქულების ჩამოკლებას. ამ შემთხვევაში სფფ უფრო „ლმობიერი“ გახდა და ამიერიდან დაჯარიმებული გუნდები 5 ქულის ნაცვლად, მხოლოდ 3-ს მოისაკლისებენ (თუმცა, ვფიქრობთ, არც ესაა სწორი და ამის შესახებ „ლელოს“ არაერთხელ გამოუთქვამს თავისი აზრი).

X ჩემპიონატი 6 აგვისტოს დაიწყება. აქვე გთავაზობთ გათამაშების კალენდარს.

## საქართველოს 1998–99 წლების X ჩემპიონატის კალენდარი

### პირველი ჯგუფი • პირველი წრე

I ტური
*6 აგვისტო, ხუთშაბათი*
დინამო (თბილისი) – ასკ (თბილისი)
კოლხეთი-1913 (ფოთი) – ლოკომოტივი (თბილისი)
*7 აგვისტო, პარასკევი*
მერანი- 91 (თბილისი) – სამგურალი (წყალტუბო)
დინამო (ბათუმი) – ვიტ-ჯორჯია (თბილისი)
*8 აგვისტო, შაბათი*
სიონი (ბოლნისი) – გურია (ლანჩხუთი)
თსუ (თბილისი) – ტორპედო (ქუთაისი)
ოდიში (ზუგდიდი) – იბერია (სამტრედია)
მეტალურგი (რუსთავი) – დილა გორი)

II ტური
*14 აგვისტო, პარასკევი*
ასკ – ვიტ-ჯორჯია
*15 აგვისტო, შაბათი*
ტორპედო – კოლხეთი
გურია – თსუ
დილა – სიონი
სამგურალი – მეტალურგი
დინამო (თბ) – მერანი
*16 აგვისტო, კვირა*
ლოკომოტივი – ოდიში
იბერია – დინამო (ბთ)

III ტური
*21 აგვისტო, პარასკევი*
მერანი – ასკ
*22 აგვისტო, შაბათი*
მეტალურგი – დინამო (თბ)
სიონი – სამგურალი
კოლხეთი – გურია
ოდიში – ტორპედო
დინამო (ბთ) – ლოკომოტივი
ვიტ-ჯორჯია – იბერია
*23 აგვისტო, კვირა*
თსუ – დილა

IV ტური
*28 აგვისტო, პარასკევი*
ასკ – იბერია
*29 აგვისტო, შაბათი*
გურია – ოდიში
დილა – კოლხეთი
მერანი – მეტალურგი
სამგურალი – თსუ
*30 აგვისტო, კვირა*
ტორპედო – დინამო (ბთ)
დინამო (თბ) – სიონი
*31 აგვისტო, ორშაბათი*
ლოკომოტივი – ვიტ-ჯორჯია

V ტური
*8 სექტემბერი, სამშაბათი*
მეტალურგი – ასკ
სიონი – მერანი
თსუ – დინამო (თბ)
კოლხეთი – სამგურალი
ოდიში – დილა
დინამო (ბთ) – გურია
იბერია – ლოკომოტივი
*9 სექტემბერი, ოთხშაბათი*
ვიტ-ჯორჯია – ტორპედო

VI ტური
*12 სექტემბერი, შაბათი*
დილა – დინამო (ბთ)
სამგურალი – ოდიში
დინამო (თბ) – კოლხეთი
მეტალურგი – სიონი
*13 სექტემბერი, კვირა*
ტორპედო-იბერია
გურია – ვიტ-ჯორჯია
მერანი-თსუ
*14 სექტემბერი, ორშაბათი*
ასკ – ლოკომოტივი

VII ტური
*19 სექტემბერი, შაბათი*
სიონი – ასკ
კოლხეთი – მერანი
ვიტ-ჯორჯია – დილა
იბერია – გურია
*20 სექტემბერი, კვირა*
ოდიში – დინამო (თბ)
ლოკომოტივი – ტორპედო
*21 სექტემბერი, ორშაბათი*
თსუ – მეტალურგი
დინამო (ბთ) – სამგურალი

VIII ტური
*25 სექტემბერი, პარასკევი*
დინამო (თბ) – დინამო (ბთ)
*26 სექტემბერი, შაბათი*
გურია – ლოკომოტივი
დილა – იბერია
სამგურალი – ვიტ-ჯორჯია
მერანი – ოდიში
მეტალურგი – კოლხეთი
სიონი – თსუ
*27 სექტემბერი, კვირა*
ასკ – ტორპედო

IX ტური
*2 ოქტომბერი, პარასკევი*
თსუ – ასკ
*3 ოქტომბერი, შაბათი*
კოლხეთი – სიონი



ოდიში – მეტალურგი
დინამო (ბთ) – მერანი
ვიტ-ჯორჯია – დინამო (თბ)
იბერია – სამგურალი
ტორპედო – გურია
*4 ოქტომბერი, კვირა*
ლოკომოტივი – დილა

X ტური
*17 ოქტომბერი, შაბათი*
დილა – ტორპედო
სამგურალი – ლოკომოტივი
დინამო (თბ) – იბერია
მეტალურგი – დინამო (ბთ)
სიონი – ოდიში
თსუ – კოლხეთი
*18 ოქტომბერი, კვირა*
მერანი – ვიტ-ჯორჯია
*19 ოქტომბერი, ორშაბათი*
ასკ – გურია

XI ტური
*24 ოქტომბერი, შაბათი*
კოლხეთი – ასკ
ოდიში – თსუ
იბერია – მერანი
ლოკომოტივი – დინამო (თბ)
ტორპედო – სამგურალი
გურია – დილა
*25 ოქტომბერი, კვირა*
დინამო (ბთ) – სიონი
ვიტ-ჯორჯია – მეტალურგი

XII ტური
*31 ოქტომბერი, შაბათი*
სამგურალი – გურია
დინამო (თბ) – ტორპედო
მეტალურგი – იბერია
სიონი – ვიტ-ჯორჯია
კოლხეთი – ოდიში
*1 ნოემბერი, კვირა*
თსუ – დინამო (ბთ)
*2 ნოემბერი, ორშაბათი*
მერანი – ლოკომოტივი
*3 ნოემბერი, სამშაბათი*
ასკ – დილა

XIII ტური
*6 ნოემბერი, პარასკევი*
ვიტ-ჯორჯია – თსუ
*7 ნოემბერი, შაბათი*
ოდიში – ასკ
დინამო (ბთ) – კოლხეთი
იბერია – სიონი
ლოკომოტივი – მეტალურგი
ტორპედო – მერანი
დილა – სამგურალი

XIV ტური
*14 ნოემბერი, შაბათი*
ასკ – სამგურალი
*15 ნოემბერი, კვირა*
დინამო (თბ) – დილა
ოდიში – დინამო (ბთ)
მეტალურგი – ტორპედო
სიონი – ლოკომოტივი
თსუ – იბერია
კოლხეთი – ვიტ-ჯორჯია
*16 ნოემბერი, ორშაბათი*
მერანი– გურია

XV ტური
*21 ნოემბერი, შაბათი*
ვიტ-ჯორჯია – ოდიში
*22 ნოემბერი, კვირა*
დინამო (ბთ) – ასკ
იბერია – კოლხეთი
ლოკომოტივი – თსუ
ტორპედო – სიონი
გურია – მეტალურგი
დილა – მერანი
სამგურალი – დინამო (თბ)

*შენიშვნა: საქართველოს თასის IX გათამაშების შეხვედრები ჩატარდება შემდეგ თარიღებში: 9, 13 და 28 ოქტომბერს; 11, 18, 26 და 30 ნოემბერს.*
*კალენდარი შედგენილია საქართველოს ნაკრები გუნდებისა და უეფას საკლუბო ტურნირებში მონაწილე კლუბების ინტერესების გათვალისწინებით.*

ბავშვთა ფეხბურთი

## „დინამოს“ მოზარდებმა სიმპათია დაიმსახურეს




***ამ დღეებში ავსტრიიდან სამშობლოში დაბრუნდა თბილისის ბავშვთა საფეხბურთო კლუბ „დინამოს“ გუნდი (სკოლის დირექტორია საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ოთარ გეგეჭკორი), რომლის ხელმძღვანელმა საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა თემურ თვალჭრელიძემ გვიამბო:***

„ყოველწლიურად ქალაქ ველესში იქაური მსხვილი ბანკირი მართავს ბავშვთა საფეხბურთო გუნდების ფესტივალს „AUSTRIA-CUP“-ს. წელს მასში 5 ასაკის (8-დან 18 წლამდე) 83-მა გუნდმა იასპარეზა.

„დინამო“ 1983 წელს დაბადებული ყმაწვილებით წარსდგა. ჩვენიანად ამ ასაკში 15 გუნდი მონაწილეობდა: იტალიის „ნაპოლი“ და „კომო“, ესპანეთის „ვალენსია“, უკრაინის „კარპატი“, რუმინეთის 2, ავსტრიის 4 კლუბი, უნგრეთის, ბულგარეთისა და კანადის კოლექტივები. ჩვენს 5-გუნდიან ქვეჯგუფში საყოველთაო აღიარებით ყველაზე ძლიერებმა მოიყარეს თავი. ქართველმა ყმაწვილებმა გაიმარჯვეს ველესის (2-0), ბულგარეთის გუნდებთან (2-1), დამარცხდნენ „კომოსთან“. (0-2) და „კარპატისთან“ (0-4). საბოლოოდ ქვეჯგუფში დავიკავეთ III ადგილი და მეოთხედფინალში გასასვლელ დამატებით მატჩში ვძლიეთ რუმინეთის „უნიერსიტატიას“ (4-1). შემდგომ ეტაპზე „დინამომ“ დაამარცხა „ნაპოლი“ ანგარიშით 3-0. ამ მომენტიდან ჩემს აღსაზრდელებს დაღლა დაეტყოთ, რის შედეგადაც ნახევარფინალში კვლავ დავმარცხდით „კარპატისთან“ 1-3 და საბოლოოდ ტურნირში მესამე ადგილი დავიკავეთ. ავსტრიის თასის ფინალში უკრაინელებმა „ვალენსიას“ სძლიეს 3-1.

სხვათა შორის, ქართველი მოზარდების თამაშმა ავსტრიელ ფეხბურთის მოყვარულთა და პრესის სიმპათია დაიმსახურა, რამდენიმე მოთამაშის გვარი კი სელექციონერებმაც ჩაინიშნეს.“

ზედა რიგში: მარცხნიდან: მწვრთნელი თემურ თვალჭრელიძე, პავლე გასვიანი, კოტე სიხარულიძე, შოთა ლომინაძე, ირაკლი გრძელიშვილი, გიორგი ზამბახიძე, ზურაბ ტაბიძე, გიორგი ციხისელი, სხედან მარცხნიდან: ილია ექიზაშვილი, ოთარ პაპუაშვილი, ლევან ხაინდრავა, ილია მალაზონია (კაპიტანი), თორნიკე ნავროზაშვილი და გიორგი კეტიშვილი.

*„ვალენსია“ გახარებულია – ეს-ესაა ნახევარფინალი მოიგო*



## ქართული კლუბები ახალი საფეხბურთო სეზონის წინ

საქართველოს X საფეხბურთო ეროვნული ჩემპიონატის დაწყებამდე ათიოდე დღე დარჩა და, ცხადია, პირველი ჯგუფის გუნდები ამჟამად ფორსირებულად ემზადებიან მასში მონაწილეობისათვის. ამთავითვე უნდა ითქვას, რომ ახალ საფეხბურთო სეზონს ისინი სხვადასხვა განწყობით ხვდებიან.

უკანასკნელ წლებში დამკვიდრებული სამწუხარო ტრადიციისამებრ, დიდი გაურკვევლობა სუფევს ლანჩხუთის „გურიაში“. თავი და თავი ასეთი ვითარებისა, ცხადია, კლუბის საგანგაშო ფინანსურ მდგომარეობაში უნდა ვეძიოთ. გურულებმა მთავარ მწვრთნელად მართალია გამოცდილი ჯონი ჯანელიძე მიიწვიეს, მაგრამ იგი ყოვლისშემძლე ხომ არ არის – შეკრებას ვინ ჩივის, ფეხბურთელები ერთი მეორის მიყოლებით გუნდიდან გარბიან. მდგომარეობა მეტად საგანგაშოა და, თუ რაიონის ხელმძღვანელობამ „გურიას“ პრაქტიკული დახმარება არ გაუწია, ეროვნულ ჩემპიონატში გუნდის მონაწილეობა სათუო გახდება.

საპირისპირო, დამაიმედებელი სიტუაციაა ბათუმის „დინამოში“, რომელიც ამჟამად შეკრებაზე თურქეთშია. გუნდის გამოცდილი მთავარი მწვრთნელის შოთა ჭეიშვილის თქმით, კოლექტივში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. „დინამოდან“ სხვა კლუბებში გადავიდნენ დავით ჭეიშვილი, ზაზა ზირაქიშვილი, დავით სოლოღაშვილი, გელა შეყილაძე, ნუკრი მინდიაშვილი, ივანე მახარაძე. ისინი შეცვალეს რომეო გოგიტიძემ („მერანი-91“-დან), მამუკა რუსიამ და დიმიტრი ვერემჩუკმა (ორივე – თსუ). გუნდში მოვიდნენ: გელა გაბელია (სარატოვის „სოკოლი“), არჩილ შაკიაშვილი („სიონი“) და, რაც ყველაზე მთავარია, გუნდს ისრაელიდან დაუბრუნდა გამოცდილი თემურ ტუღუში.

INTERTOTO CUP

# ინტერტოტოს თასი

## მესამე რაუნდი
## განმეორებითი მატჩები

ჰანზა (გერმანია) – *დებრეცენი (უნგრეთი)* 1-2 (1-1)
*ვერდერი (გერმანია)* – ლომელი (ბელგია) 2-1 (3-1)
ნაციონალი (რუმინეთი) – *ბოლონია (იტალია)* 3-1 (0-2)
ბალტიკა (რუსეთი) – *ვოევოდინა (იუგოსლავია)* 1-0 (1-4)
შინიკი (რუსეთი) – *ვალენსია (ესპანეთი)* 1-0 (1-4)
ვორსკლა (უკრაინა) – *ფორტუნა (ჰოლანდია)* 2-2 (0-0)
*ზალცბურგი (ავსტრია)* – ტვენტე (ჰოლანდია) 3-1 (2-2)
ალთაი (თურქეთი) – *ბასტია (საფრანგეთი)* – 2-3 (1-1)
*ესპანიოლი (ესპანეთი)* – ოსერი (საფრანგეთი) 1-0 (1-1)
*სამსუნსპორი (თურქეთი)* – კრისტალ პალასი (ინგლისი) 2-0 (2-0)
*სამპდორია (იტალია)* – ჰარელბეკი (ბელგია) 3-0 (1-0)

*შენიშვნა: ფრჩხილებში მოყვანილია პირველი მატჩების შედეგი. გამოყოფილია შემდეგ ეტაპზე გასული გუნდები.*

# „დინო ნაციონალე“ ნაკრების სათავეში

რა სახელი და ავტორიტეტი უნდა ჰქონდეს ფეხბურთელს, რომ „ნაციონალე“ (ერის საკუთრება) უწოდონ! ახლა, როცა იტალიელი გულშემატკივრები მეტად უკმაყოფილონი არიან ნაკრების გამოსვლით მსოფლიო ჩემპიონატში, ყველა სიხარულით შეხვდა ნაკრების მთავარ მწვრთნელ ჩეზარე მალდინის (მას უმეტეს შემთხვევაში, რაღაც განსაკუთრებულ გაუბედაობას უკიჟინებდნენ) შეცვლას „დინო ნაციონალეთი“ — განთქმულ მეკარე დინო ძოფით.

ძოფი მართლაც ლეგენდარული პიროვნებაა იტალიურ და მსოფლიო ფეხბურთში. დაიბადა 1942 წლის 28 თებერვალს მარიანო დელ ფრიულიში. 1961-63 წლებში თამაშობდა „უდინეზეში“, 1963-67 წლებში — „მანტოვაში“, 1967-72 წლებში — „ნაპოლიში“, 1972-83 წლებში — ტურინის „იუვენტუსში“, 112 მატჩი (ეს იტალიური რეკორდია) ითამაშა ეროვნულ ნაკრებში, აქედან 59-ჯერ მისი კაპიტანი იყო. დებიუტი ჰქონდა 1968 წლის 20 აპრილს ნეაპოლში ბულგარეთის ნაკრების წინააღმდეგ (2-0), მეასე მატჩი ითამაშა 1982 წლის 14 ივნისს ქ. ვიგოში პოლონელებთან (0-0) მსოფლიო ჩემპიონატში, ხოლო ნაკრებს გამოეთხოვა 1983 წლის 29 მაისს გეტებორგში შვედებთან მატჩის შემდეგ (0-2). მსოფლიო ჩემპიონატებში ითამაშა სამჯერ — 1974, 1978, 1982 წლებში; ევროპის ჩემპიონატებში ორჯერ — 1968 და 1980 წლებში. სულ იტალიის ჩემპიონატში ჩაატარა 570 მატჩი, რაც ეროვნული რეკორდი გახლავთ.

1984 წლიდან მოყოლებული, პროფესიონალი მწვრთნელი გახდა. 1984 წლიდან ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის ენცო ბეარზოტის თანაშემწე იყო. 1986 წელს სათავეში ჩაუდგა ქვეყნის ეროვნულ ნაკრებს, მუშაობდა ტურინის „იუვენტუსში“, ხოლო უკანასკნელ წლებში რომის „ლაციოს“ პრეზიდენტი იყო, რომელიც იტალიის ერთ-ერთი უძლიერესი კლუბი გახდა.

1986 წელს ფიფას კონგრესმა ქ. მეხიკო-სიტიში დინო ძოფს საერთაშორისო ფეხბურთში განსაკუთრებული დამსახურებისათვის „ფიფას ორდენი“ მიანიჭა. ეს ორდენი ოდნავ ადრე, 1984 წელს დაწესდა და ძოფამდე მხოლოდ სერ სტენლი როუზს (ინგლისი), პროფ. მიხაილ ანდრეევიჩს (იუგოსლავია), ჰელმუტ შიონს (გფრ), რობერტ ჩარლტონსა (ინგლისი), და ფრანც ბეკენბაუერს (გფრ) ჰქონდა.

# ბიშოვეცი – 2002 წლამდე

როგორც უკვე ვიუწყებოდით, რუსეთის ნაკრების მთავარ მწვრთნელად 4 წლის ვადით დაინიშნა ანატოლი ბიშოვეცი.

ბიშოვეცი დაიბადა 1946 წელს. ეროვნებით უკრაინელია. თამაში დაიწყო 1959 წელს კიევის „ნორჩ დინამოელში“. 1964 წლიდან დიდი წარმატებით თამაშობდა კიევის „დინამოს“ ოსტატთა გუნდში ცენტრალურ თავდამსხმელად. ითვლებოდა მაღალი ტექნიკის მქონე ფორვარდად, ორიგინალური ცრუ მოძრაობით, მაღალი შედეგიანობით, ინდივიდუალური თამაშის ოსტატად. კიევის „დინამოში“, სადაც იგი 1973 წლამდე გამოდიოდა, საკავშირო პირველობებზე ჩაატარა 139 მატჩი და გაიტანა 49 გოლი. 1966, 67, 68, 71 წლებში საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა, 1969 და 72 წლებში ვერცხლის მედლებს დაეუფლა, 1966 წელს კი საბჭოთა კავშირის თასს ფლობდა. 1966, 69 და 71 წლებში 33 უძლიერეს ფეხბურთელს შორის თავის ამპლუაში პირველ ნომრად მოხვდა, 1968 და 70 წლებში კი მეორე ნომრად.

ბიშოვეცი დიდი წარმატებით თამაშობდა საბჭოთა კავშირის ნაკრებში, სადაც 1966-72 წლებში 39 მატჩი ჩაატარა და 15 გოლი გაიტანა. მონაწილეობდა მსოფლიოს 1970 წლის ჩემპიონატში, ევროპის 1968 და 72 წლების ჩემპიონატებში. 9 მატჩი აქვს ნათამაშევი და 3 გოლი გატანილი ევროპის ჩემპიონთა თასზე.

მას შემდეგ, რაც თამაშს თავი დაანება, პროფესიონალი მწვრთნელი გახდა. 1987 წლის ოქტომბრიდან წვრთნიდა მოსკოვის „დინამოს“, სადაც გამოიჩინა თავი როგორც ჩინებულმა სპეციალისტმა. შემდეგ სათავეში ჩაუდგა ქვეყნის ოლიმპიურ ნაკრებს, რომელმაც 1988 წელს გაიმარჯვა სეულის ოლიმპიადის საფეხბურთო ტურნირში. შემდეგ სათავეში ჩაუდგა საბჭოთა კავშირის ნაკრებს, რომელიც ევროპის 1992 წლის ჩემპიონატის ფინალურ ნაწილში გაიყვანა. კარგა ხანს მუშაობდა სამხრეთ კორეაში, სადაც იყო კლუბის მწვრთნელი, ოლიმპიური ნაკრებისა და შემდეგ პირველი ნაკრების ხელმძღვანელი.

1997 წელს სათავეში ჩაუდგა სანკტ-პეტერბურგის „ზენიტს“, რომელიც ამ მომენტში სულს ღაფავდა და გამოასწორა მდგომარეობა. ახლა „ზენიტი“ მეორე ადგილზეა. აქ ბიშოვეცი შეთავსებით სეზონის ბოლომდე დარჩება.

როგორც ბიშოვეცმა განაცხადა, მასთან ითანამშრომლებს რუსეთის ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ნიკიტა სიმონიანი, როგორც ნაკრების მუშაობის კოორდინატორი, ხოლო უშუალოდ წვრთნის პროცესში დაეხმარებიან ცნობილი სპეციალისტები ვლადიმირ სალკოვი, ჰაჯი ჰაჯიევი და ვიქტორ პაპაევი.

# ბელგრადსა და ტირანაში სხვადასხვა განწყობით

გუშინ ნაშუადღევს თბილისის აეროპორტიდან ბელგრადისა და ტირანას მიმართულებით ჩარტერული რეისით გაფრინდნენ ფოთის „კოლხეთი-1913“-ისა და თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდები. ეს კოლექტივები ევროპის საკლუბო ტურნირების განმეორებით მატჩებს სხვადასხვა განწყობით გამართავენ. ფოთელთა გუნდი უიმედო მდგომარეობაშია — შინ, საკუთარ მინდორზე უეფას თასზე „ცრვენა ზვეზდასთან“ 0-4 დამარცხების შემდეგ ძნელია იფიქრო რაიმე წარმატებაზე. კოლხთა საპირისპიროდ, თითქმის განაღდებული აქვს (თუ რაიმე სასწაული არ მოხდა) ჩემპიონთა ლიგის შემდგომ ეტაპზე გასვლა დინამოელებს — მათ ხომ შინ 1-0 დაამარცხეს ალბანური „ვლაზნია“. ამასთან, მათ თბილისში განაცხადში შეუყვანელი მოთამაშე გამოიყვანეს, რისთვისაც უეფამ ჩვენს მეტოქეს 0-3 წაგება ჩაუთვალა.

მაშ ასე, 29 ივლისს ბელგრადსა და ტირანაში ქართული გუნდები განმეორებით საპასუხისმგებლო მატჩებს გამართავენ.

# მურთაზ ხურცილავა: „მალე „ნორჩი დინამოელი“ აღარ ვიქნებით“

როგორც ცნობილია, ჩემპიონთა ლიგის გათამაშების პირველი საკვალიფიკაციო მატჩი ალბანურ „ვლაზნიასთან“ თბილისის „დინამომ“ სუსტად ჩაატარა, ცხადი გახდა, რომ ასეთი გამოუცდელი ფეხბურთელებით დაკომპლექტებულ გუნდს წარმატების მინიმალური შანსი აქვს. „ლელოს“ კორესპონდენტთან საუბარში „დინამოს“ მთავარმა მწვრთნელმა თქვა, რომ კლუბის ხელმძღვანელობა ძალ-ღონეს და სახსრებს არ იშურებს შემადგენლობის გასაძლიერებლად. გუნდს დაუბრუნდა საყრდენი ნახევარმცველი გიორგი კიკნაძე. გარდა ამისა, თურქულ „ტრაბზონსპორთან“ მიმდინარეობს მოლაპარაკება, რათა ერთი სეზონი „დინამოში“ გაანათხოვრონ ნახევარმცველი გოჩა ჯამარაული. არც ისაა გამორიცხული, რომ თბილისელთა გუნდში ითამაშოს დავით ჭიჭველიშვილმა, რომელიც, მართალია, მისი საკუთრებაა, მაგრამ თვითნებურად მიატოვა გუნდი და ბათუმის კოლექტივში იმყოფება. იყო შესაძლებლობა, რათა „დინამოში“ დროებით ეთამაშა მეკარე ნიკა ჩხეიძეს, მაგრამ მისი მეპატრონე გერმანული „ჰომბურგის“ და თბილისური გუნდების ხელმძღვანელებმა ერთმანეთში ვერ მოილაპარაკეს. სავარაუდოდ, ჩხეიძე კარიერას რომელიმე ბელგიურ კლუბში გააგრძელებს.

„ასე რომ, ჩვენ გუნდი ახლო მომავალში „ნორჩი დინამოელი“ აღარ იქნება და ანგარიშგასაწევი ძალა გახდება“ — თქვა ბოლოს მურთაზ ხურცილავამ.

# შეკითხვა „ლელოს“

ოქვენს გაზეთში გამოქვეყნდა ვაკის რაიონის სასამართლოს გადაწყვეტილება „დინამო“-„მრეტების“ ფინანსურ კონფლიქტთან დაკავშირებით. დავა „დინამოს“ სასარგებლოდ გადაწყვეტილა.

გთხოვთ გვიპასუხოთ, ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ „დინამო“ 875 ათას აშშ დოლარს აღარ გადაუხდის „მრეტებს“ ადრე განხორციელებულ ფეხბურთელ გ. ქინქლაძის ტრანსფერისათვის?

*ვაჟა დოლიძე, თბილისი*

**პასუხი: საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ფიფას ფეხბურთში სადავო საკითხების სამოქალაქო სასამართლოებში განხილვასთან დაკავშირებით თავისი მიდგომა აქვს და ყოველთვის როდი სცნობს მის გადაწყვეტილებას. კონკრეტულ შემთხვევაში, საკამათო შეიძლება გახდეს ფიფას და სუვერენული ქვეყნის, ამ შემთხვევაში საქართველოს კანონმდებლობა თუ რამდენად ეწინააღმდეგება ერთმანეთს.**

**„დინამოს“ პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია ამბობს: „ამჟამად სასამართლომ ჩვენი გამართლების შესახებ მიიღო გადაწყვეტილება და დიდი შანსია ფიფამაც მართებულად ჩათვალოს იგი. თუ ასე არ მოხდა, ამ ფულს გადავიხდით. ხოლო თუ საქმე მოვიგეთ, საკმაო თანხას შევუნარჩუნებთ „დინამოს“, რაც ისევ ფეხბურთს მოხმარდება, და იმედია, ეს, ანუ საქმის ჩვენს მიერ მოგება, გულშემატკივარს გაუხარდება“.**

**როგორც ხედავთ, ჯერ ადრე ყოფილა ცაში ქუდების სროლა.**

**ვნახოთ!**

# ტრანსფერებში „ლაციომ“ გაილაღა

*მსოფლიოში უძლიერეს საფეხბურთო ლიგა – სერია „A“-ში ახალი სეზონის წინ მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. ტრადიციისამებრ, ყველაზე მეტ ფეხბურთელს ტურინული და მილანური კლუბები იძენენ. წელს ასე არ არის – ყველას რომის „ლაციომ“ აჯობა, რომელმაც ბოლო თვეში ახალი მოთამაშეების საყიდლად 140 მილიარდი ლირა (79 მილიონი დოლარი) დახარჯა. საყურადღებოა, რომ ამავე დროს მილანის კლუბებმა მხოლოდ ამ თანხის ნახევარი გაიღეს, ხოლო „იუვენტუსმა“ ამაზე ნაკლებიც – 16,9 მილიონი დოლარი.*

მაინც, რომელ ფეხბურთელებში გადაიხადა „ლაციომ“ ამდენი ფული? მთავარი შენაძენი, ცხადია, მარსელო სალასია. „რივერ პლეიტმა“ ჩილელ ფორვარდში 19,7 მილიონი დოლარი მიიღო. ამ თანხაზე ნაკლები, 17 მილიონი დაჯდა „ბარსელონადან“ ნახევარმცველ ივან დელა პენიას გადაყვანა. ტურინულმა კლუბმა „ცრვენა ზვეზდას“ ბულგარელი ფორვარდის დეიან სტანკოვიჩის საფასურად გადაუხადა 14 მილიონი. მეორე იუგოსლაველ ფეხბურთელში, სინიშა მიხაილოვიჩში „სამპდორიას“ გადაურიცხეს 12,4 მილიონი. ამით რომაული კლუბის ახალწვეულთა სია არ დასრულებულა. 12,4 მილიონად მიიწვიეს ორი პორტუგალიელი ფეხბურთელი – სერჟიო კონსეისაო „პორტუდან“ და ფერნანდო კოუტუ „ბარსელონადან.“

ცხადია, „ლაციო“ ფეხბურთელებს არა მხოლოდ ყიდულობს, ჰყიდის კიდეც. ერთბაშად ორი ფეხბურთელი – არგენტინელი ხოსე ანტონიო შამოტი და იუგოსლავი ვლადიმერ იუგოვიჩი გადავიდა მადრიდის „ატლეტიკში“, რომლის პრეზიდენტმა ხესუს ხილმა „ლაციოს“ კლუბს 19 მილიონი დოლარი გადაურიცხა. გარდა ამისა, ახალი სეზონიდან გულშემატკივრები მოისაკლისებენ ფორვარდ პიერლუიჯი კაზირაგის (იგი ლონდონის „ჩელსიში“ გადავიდა), გუნდის კაპიტანს დიეგო ფუზერს (ითამაშებს „პარმაში“).

რაკი „პარმაზე“ ვსაუბრობთ, აღვნიშნავთ, რომ ამ კლუბმა წელს რომაელთა რეკორდი გაიმეორა – „სამპდორიასაგან“ 19,7 მილიონ დოლარად შეიძინა არგენტინელი ნახევარმცველი ხუან ვერონი (რონალდოს შემდეგ ვერონი და სალასი სერია „A“-ს ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელები არიან). „პარმამ“ კიდევ ერთი არგენტინელი შეიძინა – 3,4 მილიონ დოლარად – აბელ ბალბო. უფრო მეტი გაიღეს პარმელებმა სომხური წარმოშობის საფრანგეთის ნაკრების ნახევარმცველ ალან ბოღოსიანში – ტრანსფერის თანხა 7,9 მილიონი დოლარია. გარდა ამისა, გუნდში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შენაძენია – 6,8 მილიონად ღირებული მცველი ლუიჯი სარტორი მილანის „ინტერიდან“. აღსანიშნავია, რომ „პარმამ“ მხოლოდ ერთი ფეხბურთელი გაყიდა – არგენტინელი მცველი ნესტორ სენსინი. „სამპდორიამ“ მასში 3 მილიონი გადაიხადა. გარდა ამისა, კონტრაქტის ვადა გაუვიდათ და გუნდი დატოვეს ბრაზილიელებმა ზე მარიამ (გადავიდა „პერუჯაში“) და ადაილტონმა („პარი სენ-ჟერმენში“).

მნიშვნელოვანი შენაძენია მილანის „ინტერში“, რომელმაც ჯერ კიდევ საფრანგეთის მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე შეიპირა რობერტო ბაჯო. შორსმიმავალი გეგმები კვლავ ამოძრავებს „მილანს“. მან კიდევ 3 წლით გააგრძელა ხელშეკრულება ლიბერიელ ფორვარდ ჯორჯ ვეასთან. გარდა ამისა, „უდინეზედან“ ამ გუნდში 14,7 მილიონი დოლარის საფასურად გადმოდის გერმანელი ბომბარდირი ოლივერ ბირჰოფი. სულ ახლახან კი გაჩნდა ცნობები, რომ მილანელებმა 9,6 მილიონ დოლარად შეიძინეს დანიელი ნახევარმცველი თომას ჰელვეგი. მიმდინარეობს მოლაპარაკებები „შალკე-04“-ის მეკარე იენს ლემანთანაც. „მილანმა“ სულ ახლახან სარფიანად გაყიდა მცველი მარსელ დესაი – „ჩელსიმ“ მას 8,5 მილიონი ჩაურიცხა. დესაის პსუელი ბრუნო ნგოტი შეცვლის.



ცვლილებებია „იუვენტუსშიც“. ამიერიდან ამ კლუბის ღირსებას დაიცავს საფრანგეთის „მეციდან“ გადმოსული ნახევარმცველი ჟოსელინ ბლანშარი. ტურინელები სულ ახლახან ორ ფეხბურთელს შეელივნენ – მცველ ტორიჩელს სხვა კლუბთან აქვს მოლაპარაკება, მეორე მცველი მორენო კი „ფიორენტინაში“ ითამაშებს.

რაკი ფლორენციულ კლუბს მივადექით, შეგახსენებთ, რომ ამ კლუბში „ბაიერნიდან“ დაბრუნდა მწვრთნელი ჯოვანი ტრაპატონი. მისი მოთხოვნით „იებმა“ 600 ათას დოლარად „ბარსელონადან“ ითხოვეს ნახევარმცველი გილერმო ამორი, პრაღის „სპარტასაგან“ კი 4,5 მილიონად იყიდეს მცველი თომას რეპკა.

ზემოთ ტრანსფერების რეკორდსმენი რომაული „ლაციო“ ვახსენეთ და არაფერი გვითქვამს მეორე დედაქალაქურ კლუბ „რომაზე“, სადაც ომარ თეთრაძე გამოდის. ეს კლუბი წელს ძირითადად აღმოსავლეთ ევროპელებით შეივსო. ასე, მოსკოვის „სპარტაკიდან“ შეიძინეს ნახევარმცველი დმიტრი ალენიჩევი. ტრანსფერის თანხა 6,8 მილიონს შეადგენს. რომაელებმა აგრეთვე გადაიბირეს ბელგრადის პარტიზანელი ნახევარმცველი ივან ტომაჩი (4,5 მილიონი დოლარი).

საუბარი გვქონდა სერია „A“-ს ბობოლა კლუბებზე. ახლა შედარებით ხელმოკლეებზეც ვთქვათ. ცხადია, მათ მნიშვნელოვანი ტრანსფერების განსახორციელებლად დიდი თანხა არ გააჩნიათ და ამიტომ ასეთი გუნდები ძირითადში ნაკლებ ცნობილი ახალგაზრდა ფეხბურთელების ყიდვით არიან დაკავებულნი. ამის მაგალითად, სერია „A“-ში წელს გადასული „სალერნიტანა“ გამოდგება, რომელმაც ამ ერთი თვის განმავლობაში 18 (!) ახალი მოთამაშე შეიძინა, რაშიც კლუბმა 15,8 მილიონი დოლარი დახარჯა.

**P.S. უცხოეთის საინფორმაციო სააგენტოებმა გაავრცელეს ცნობა ახალი ტრანსფერის შესახებ. თუმცა ამ ამბავს მთლად ახალი არ ეთქმის: „მანჩესტერ იუნაიტედსა“ და „პარმას“ შორის კარგა ხანია მოლაპარაკება მიმდინარეობდა ცნობილი შვედი ფეხბურთელის იესპერ ბლომკვისტის შესახებ. და აი, ხელშეკრულება ხელმოწერილია – ფორვარდში „პარმა“ 7 მილიონ დოლარს მიიღებს. მიმომხილველთა აზრით, „მანჩესტერის“ მთავარი მწვრთნელი ალექს ფერგიუსონი ბლომკვისტს უელსელი ბრაიან გიგზის ადგილს მიუჩენს თავდასხმის ფლანგზე. რაც შეეხება გიგზს, მას ალბათ ცენტრში გაამწესებენ.**

თავისუფალი ჭიდაობა | ვახტანგ ბალავაძის სახელობის XXXVI საერთაშორისო ტურნირი

# მედლებს ნუ დავითვლით, მით უფრო, რომ უპირატესობა თანაგუნდელებთან ჭიდილშია მოპოვებული

ეს ტურნირი რომ ადრე მსოფლიოს ყველა კუთხიდან ანდამატივით იზიდავდა მოჭიდავეებს, მარტო ასპარეზობის პრესტიჟულობით არ იყო განპირობებული, ამაში ბოლო დროინდელმა შეჯიბრებებმა დაგვარწმუნა. ისე, რა თქმა უნდა, ყველასათვის, განსაკუთრებით დამწყები მოჭიდავისათვის დიდი პატივია ხალიჩის ასეთი დიდოსტატის სახელობის შეჯიბრებაში გამოსვლა, მაგრამ თბილისის სარბიელი სახელმოხვეჭილ ფალავნებს უფრო უყრიდა თავს — როგორც ოლიმპიურ ისე მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონებს და ეს თურმე იმიტომ, რომ იგი, როგორც წესი, წლის დასაწყისში, იანვრის ბოლო რიცხვებში იმართებოდა, ერთგვარი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც ახალი სპორტული სეზონისწინა ასპარეზობას. ამ თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, ტურნირმა ბევრი დაკარგა, როცა იგი წლის შუაწელს ტარდება და სეზონის ოფიციალური ტურნირები უკვე უკან დარჩა. თუმცა, მართალია, კონტინენტის მასშტაბის თითქმის ყველა რანგის, როგორც მოზრდილთა, ისე ჭაბუკთა და ახალგაზრდული ტურნირები მოჭიდავეებს მოლეული აქვთ, წინ მსოფლიო პირველობაა, რომელსაც ამ შემოდგომის პირველი თვის მიწურულს ირანი უმასპინძლებს.

და მაინც, მსოფლიო პირველობის „კვირაძალზე“ უამრავი ქვეყნები მოაწყდა ჩვენს ქალაქსო — ვერ ვიტყვით. ყველაზე მეტი მოჭიდავე მსოფლიო პირველობის მასპინძლებმა — ირანელებმა ჩამოიყვანეს — 12. საერთო მონაწილეთა რაოდენობა, ქვეყნების მიხედვით კი საკმაოდ შილიფად გამოიყურებოდა: არ იყვნენ ბალკანელები, სკანდინაველები, შუაევროპელები და სხვა, რომლებიც ადრე ამშვენებდნენ ამ ტურნირს.

მედლებისათვის ამჯერად მასპინძლებს გარდა ირანელები, აზერბაიჯანელები, სომხები, ალანელები, დაღესტნელები იბრძოდნენ. ამ ბრძოლაში ყველაზე მეტჯერ მასპინძელთა შემდეგ ირანელები გამოვიდნენ გამარჯვებულები. მათ შინ სამი ოქროს, ერთი ვერცხლისა და ორი ბრინჯაოს მედალი წაიღეს. საგულისხმოა ისიც, რომ ირანელებს არც ერთი გადამწყვეტი ბრძოლა არ წაუგიათ არც ნახევარფინალში და არც ფინალში. ეს უდავოდ მათ მაღალ ბრძოლისუნარიანობაზე მეტყველებს. უცხოელ მეტოქეებთან ემზარ ბედინეიშვილის (69 კგ) და ელდარ კურტანიძის (97 კგ) გარდა მასპინძელთაგან პრინციპული შეხვედრა დათმო ყველამ.

მწვრთნელები დიდ იმედებს ამყარებდნენ ახალგაზრდა გიორგი იანტბელიძეზე (54 კგ), მიაჩნდათ, რომ იგი მზად იყო ასეთი საპასუხისმგებლო ტურნირი ბოლომდე კარგად გაევლო. სამწუხაროდ, მას ფინალური ბრძოლის დებიუტშივე უბრალოდ ძალა არ ეყო და „მშრალად“ დამარცხდა ირანელ ჰუსეინ მუსტაფასთან. მისი ბედი გაიზიარა მომდევნო წონის (58 კგ) თანაგუნდელმა მნაცაკან არუთინიანმა ფინალში ირანელ მუჰამედ ალი დონჯადისთან შეხვედრაში. ირანის და საქართველოს ამ ფინალურ მიკრომატჩში სტუმრებს მხოლოდ ემზარ ბედინეიშვილი აღუდგა წინ, რომელმაც ეფექტური ილეთით — ტრიალით მთლად განაიარაღა ალირზა კარიზი და აშკარა უპირატესობით — 10:0 გაიმარჯვა კიდეც. ამ მატჩს კი წერტილი მძიმე წონის ირანელმა ნოდერ კამბერიმ დაუსვა, მან ზურაბ ლოლიშვილს სძლია.

**კვარცხლბეკი.** ***54 კგ:*** 1. მუსტაფა ჰუსეინი (ირანი), 2. გიორგი იანტბელიძე (საქართველო), 3. არმენ სიმონიანი (სომხეთი). ***58 კგ:*** 1. მუჰამედ დონჯადი (ირანი), 2. მნაცაკან არუთინიანი (საქართველო), 3. ელმან ასკეროვი (აზერბაიჯანი); ***63 კგ:*** 1. ზურაბ მაკოევი (ალანია), 2. შამილ ეფენდიევი (აზერბაიჯანი), 3. თეიმურაზ მურადი (ირანი); ***69 კგ:*** 1. ემზარ ბედინეიშვილი (საქართველო), 2. ალირზა კარიზი (ირანი), 3. 3. ვადიმ გოგოლაევი (ალანია); ***76 კგ:*** 1. ალექსანდრე კახნიაშვილი (მასვე ერგო ვ. ბალავაძის მთავარი პრიზი), 2. ტრისტან ბლიაძე (ორივე — საქართველო), 3. ელდარ ალაჰვერდიევი (აზერბაიჯანი); ***85 კგ:*** 1. გოჩა ჩიხრაძე, 2. ნიკო ბეგაშვილი (ორივე — საქართველო), 3. ალი კაფირი (ირანი); ***97 კგ:*** ელდარ კურტანიძე (საქართველო), 2. არსენ იბნხარჟარო (დაღესტანი), 3. დავით ოტიაშვილი (საქართველო); ***130 კგ:*** ნოდერ კამბარი (ირანი), 2. ზურაბ ლოლიშვილი, 3. ლექსო მოდებაძე (ორივე — საქართველო).

**უშანგ ჭიჭინაძე**

საპატიო კვარცლბეკზე არიან ელდარ კურტანიძე (შუაში), არსენ იბნხარჟარო (მარცხნივ) და დავით ოტიაშვილი



## ქობულეთში ჭადრაკის ბუმი გრძელდება

*(მეორე გვერდიდან)*



***10 წლის გოგონები:*** 1. ნინო ლაბაური (თბილისი) 2. მერი ჟორჟოლიანი (ქუთაისი) – 5-5, 3. ანა ქარდავა (სოხუმი), (უკეთესი კოეფიციენტი). 4. მირანდა შავლაყაძე (ხონი) – 4,5-4,5.

***„ბ“ ტურნირი. 8 წლის ჭაბუკები:*** 1. გიორგი მგალობლიშვილი (ქობულეთი) – 6, 2. ბექა მანჯავიძე – 4,5, 3. გიორგი კვირიკაშვილი ( ორივე – თბილისი) – 3.

***8 წლის გოგონები:*** 1. მერი ჟორჟოლიანი (ქუთაისი) – 5, 2. თამარ მჟავანაძე – 4, 3. რაისა მოწყობილი (ორივე – ქობულეთი) – 3.

ტურნირის მსვლელობისას ტარდება ბლიც ტურნირები და ერთდროული თამაშის სეანსები.

ამჟამად, მიმდინარეობს საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალი „რემკა-98“ საქართველოს და აზერბაიჯანის მოჭადრაკეების მონაწილეობით. აზერბაიჯანის დელეგაციას ხელმძღვანელობს ცნობილი მწვრთნელი ალექსანდრე ასლანოვი (ბაქო), რომელიც 5 წელიწადი ასწავლიდა ყმაწვილ გარი კასპაროვს. სპეციალური პრიზები დააწესეს მოქალაქეთა კავშირის თბილისის ორგანიზაციამ, კინოსტუდია „რემკამ“, ქობულეთის რაიონის გამგეობამ, საქართველოს განათლების სამინისტროს შესაბამისმა მთავარმა სამმართველომ.

მთავარი მსაჯია ეროვნული კატეგორიის მსაჯი დავით ჯაფარიძე (თბილისი), მთავარი მდივანი, ეროვნული კატეგორიის მსაჯი და ტურნირების ორგანიზატორი ამირან ბერძენიშვილი (ქობულეთი).

**იოსებ მჟავანაძე,**
**ქობულეთის რაიონის ჭადრაკის ფედერაციის თავმჯდომარე.**



*ბაქოელი სტუმარი – მწვრთნელი და მოჭადრაკე – ალექსანდრე ასლანოვი*


**საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის ოლიმპიური რეზერვების სასწავლებელი**

**აცხადებს მოსწავლე-სპორტსმენთა მიღებას 1998-99 სასწავლო წლისათვის VII და VIII კლასებში შემდეგ სპორტულ განყოფილებებზე:**

1. თავისუფალი ჭიდაობა; 2. ბერძნულ-რომაული ჭიდაობა; 3. ძიუდო; 4. მძლეოსნობა; 5. ველოსპორტი; 6. ნიჩბოსნობა.

საბუთების მიღება იწარმოებს მ/წლის 10 აგვისტოდან 21 აგვისტოს ჩათვლით, ყოველდღე გარდა კვირისა, 10-დან 16 საათამდე, გამოცდები ჩატარდება მ/წლის 24-27 აგვისტოს.

***დაწვრილებით ტელეფონით: 67-03-44.***


## FRANCE 98 INFORMATIONS ექო

### პასარელას ბედი 1 იანვარს გადაწყდება

„დარჩება თუ არა პასარელა არგენტინის ნაკრების სათავეში, ეს გადაწყდება პირველი იანვრისათვის“ – განაცხადა არგენტინის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ხულიო გრონდონამ.

არგენტინის ფეხბურთის წრეებში მთავარი მწვრთნელის პოსტზე ყველაზე რეალურ კანდიდატად ნესტორ პეკერმანს თვლიან. იგი ბოლო წლებში არგენტინის ახალგაზრდულ ნაკრებებში მუშაობდა და დიდ წარმატებასაც მიღწია 1995 და 1997 წლებში არგენტინის ახალგაზრდულმა ნაკრებებმა მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვეს ჯერ კატარსა, ხოლო შემდეგ მალაიზიაში. წლეულს, მაისში არგენტინელებმა (21 წლამდე) მოიგეს პრესტიჟული საერთაშორისო ტურნირის ტულონში (საფრანგეთი), ჭაბუკებმა კი (17 წლამდე) გაიმარჯვეს იტალიაში.

### «ჩელსის» ჩემპიონური ამბიციები

ინგლისის პრემიერ-ლიგის ახალი გათამაშება 17 აგვისტოს იწყება. ამ დღეს ლონდონური არისტოკრატიის ჯილა – „ჩელსი“ „ქოვენტრის“ მიიღებს და, თქვენ წარმოიდგინეთ, ამ მატჩზე დასასწრები 30 ათასამდე ბილეთი უკვე გაყიდულია. მიმომხილველთა ვარაუდით, სწორედ „ჩელსი“ იქნება ჩემპიონობის ყველაზე რეალური კანდიდატი.

გუნდის შარშანდელი წარმატებები ფეხბურთის გულშემატკივრებისთვის კარგადაა ცნობილი. ახლა კი მოთამაშე მწვრთნელის, იტალიელი ჯანლუკა ვიალის მოწადინებით, მნიშვნელოვნად გაძლიერდა შემადგენლობა. „ჩელსიში“ ჩაირიცხნენ ბრაიან ლაუდრუპი, ალბერტ ფერერი, პიერლუიჯი კაზირაგი. ამ დღეებში უცხოეთის საინფორმაციო სააგენტოებმა გუნდის კიდევ ერთ მნიშვნელოვან შენაძენზე გაავრცელეს ინფორმაცია – „მილანიდან“ 7,5 მილიონ დოლარად ჩამოიყვანეს ცნობილი შავკანიანი მცველი, მსოფლიო ჩემპიონი მარსელ დესაი. გარდა ამისა, კლუბში ვიალიმ ფიზომზადების იტალიელი სპეციალისტი ანტონიო პინტუსი მოიწვია, რომელთანაც „იუვენტუსში“ უმუშავია. პინტუსმა ბრიტანელთათვის უცხო სავარჯიშო სისტემა დანერგა, რამაც ფეხბურთელები კმაყოფილები დატოვა. დენის უაიზმა აღნიშნა: „ანტონიომ ზუსტად მიგვითითა იმ ნაკლზე, რაც აუცილებელ გამოსწორებას საჭიროებს. უამისოდ დიდი გუნდის შექმნა წარმოუდგენელია“.

### ნაკრებში ითამაშებენ, მაგრამ ცოტას

კლაუდიო ანდრე ტაფარელი, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატში ერთ-ერთი საუკეთესო მეკარე იყო, ამიერიდან კვლავ გამოვა ბრაზილიის ნაკრებში, მაგრამ საკმაოდ იშვიათად.

საქმე ის არის, რომ ტაფარელი სტამბოლის „გალათასარაიში“ გადავიდა, ხელშეკრულებაში კი წერია – მეკარეს ნება ეძლევა წელიწადში სამჯერ ითამაშოს ნაკრებში. ისიც მაშინ, როცა ბრაზილიელები ევროპის ქვეყნებში გამოვლენ. თუკი ტაფარელმა ეს პირობა დაარღვია, მაშინ „გალათასარაის“ 600 ათასი შვეიცარული ფრანკი უნდა გადაუხადოს, ეს კი ისეთი თანხაა, რომ...

### მსაჯ ბრისიო კარტერის «რეკორდები»

ის, რაც მექსიკელმა მსაჯმა ბრისიო კარტერმა მსოფლიო ჩემპიონატში მოიმოქმედა, მართლაც რომ განცვიფრების ღირსია.

მსოფლიო ჩემპიონატების მატჩებში ადრინდელშიც და წლევანდელშიც, მან მინდვრიდან გააძევა 7 ფეხბურთელი! ერთი სიტყვით, იგი ნამდვილი „ბომბარდირის“ როლში გამოვიდა. ადრინდელი რეკორდი (5) ფრანგ ჟოელ კინიოს ეკუთვნოდა, მაგრამ თუ კინიომ მსოფლიო ჩემპიონატებში 8 მატჩი იმსაჯა, კარტერმა მხოლოდ 6 და ასეთი შიშის ზარი დასცა ყველას. მარტო ამ ჩემპიონატში მექსიკელმა 4 მოთამაშეს დაატოვებინა მინდორი.

და ერთი საყურადღებო ფაქტიც – კარტერის ამ „მიღწევების“ შემდეგ მექსიკელი მსაჯები მსოფლიოში პირველ ადგილზე გადავიდნენ, მათ 11 მოთამაშე ჰყავთ გაძევებული მსოფლიო ჩემპიონატებში!

### «სიცარიელეში ვბრუნდები»

როგორც 20 წლის ტიერი ანრიმ განაცხადა, მას არასოდეს განუცდია ისეთი სულიერი აღმავლობა, როგორც მსოფლიო ჩემპიონატში. მან თქვა, რომ თითოეული ახალი მატჩი ხალხით გაჭედილ სტადიონებზე უზარმაზარ ენერგიას მატებდა და ამიტომაც ითამაშა ასე კარგად. ამის მსგავსი გრძნობა მას არასოდეს ჰქონია საფრანგეთის ჩემპიონატის მატჩებში, რასაც იმით ხსნის, რომ აქ მატჩებს ვთქვათ, ტიერი ანრის „მონაკოში“ თამაშს, დიდი-დიდი, სამი ათასი მაყურებელი თუ ესწრება.

– შიშით ველი საფრანგეთის ახალ ჩემპიონატს, – განაცხადა ტიერი ანრიმ. – ერთი სიტყვით, მოთამაშეს ციდან მიწაზე ჩამოსვლა მართებს.

### სექტემბერის შუა რიცხვებისათვის გადაიდო

როგორც ცნობილია, იდეა საფრანგეთისა და გერმანიის ვეტერანთა ნაკრები გუნდების მატჩის მოწყობის შესახებ ფრანც ბეკენბაუერს ეკუთვნის. მას საქველმოქმედო ხასიათი ექნება და მთელი შემოსავალი გერმანულ ხულიგნების მიერ ნაცემ ფრანგ პოლიციელის ოჯახს გადაეცემა.

მატჩი თავდაპირველად ჯერ კიდევ ჩემპიონატის მსვლელობის დროს უნდა მოწყობილიყო, მაგრამ რახან გერმანიის ნაკრებმა ადრე განიცადა მარცხი, მისმა გულშემატკივრებმა საფრანგეთი დატოვეს.

ახლა იგი სექტემბრის შუა რიცხვებისათვის გაიმართება. საფრანგეთის ნაკრებს ჟან ტიგანა უხელმძღვანელებს, გერმანიისას კი თვით იდეის ავტორი ფრანც ბეკენბაუერი.

### 2002-ის სტრუქტურა

ბევრი სპეციალისტის აზრით, მსოფლიო ჩემპიონატი ძალიან დიდხანს გაგრძელდა. ამიტომაც დაიწყო ამ ასპარეზობის 2002 წლის სტრუქტურის განხილვა. როგორც ფიფას პრეზიდენტმა იოზეფ ბლატერმა განაცხადა, ჩემპიონატი, რომელიც იაპონიასა და კორეაში გაიმართება, საფრანგეთისაზე ერთი კვირით „მოკლე“ იქნება. ამას ორგანიზატორები მიაღწევენ ინტერვალების შემცირებით წინასწარი ტურნირის მატჩებს შორის. რაც შეეხება მონაწილეთა რიცხვს, იგი უცვლელი დარჩება – ახლანდელივით 32 ფინალისტი იქნება.

### არც ერთი ვარგა და არც მეორე

მატჩის შემდეგ 11-მეტრიანი დარტყმებით გამარჯვებულის გამოვლენა პირველად მსოფლიოს 1978 წლის ჩემპიონატის შემდეგ დაიწყეს არგენტინაში, „ოქროს გოლი“ – მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატიდან, მაგრამ არც ერთი წესი იწვევს აღტაცებას და არც მეორე.

როგორც ფიფას სპიკერმა კეიტ კუპერმა განაცხადა, უკუგდებულია წინადადება: გოლის გატანის შემდეგ გუნდებს დააცალონ ითამაშონ მთელი დამატებითი დრო, 30 წუთი მაგრამ თუ მატჩი ფრედ დასრულდა, გამარჯვებულად ის გამოაცხადონ, ვინც პირველი ბურთი გაიტანა.

იყო ასეთი წინადადება: პენალტები მატჩის ბოლოს კი არა, დასაწყისშივე დაარტყან. ეს არ ივარგებდა, რადგან ერთ-ერთი მხარე დიდ ფსიქოლოგიურ ზეწოლას განიცდიდა.

### «ჩვენ ზაგალოზე არ გვიმოქმედია»

ფირმა „ნაიკმა“ უარჰყო ხმები იმის შესახებ, რომ თითქოს მან გავლენა მოახდინა ბრაზილიის ნაკრების უფროს მწვრთნელ მარიო ზაგალოზე, რათა მას ფინალურ მატჩში აუცილებლად გამოეყვანა რონალდო. საქმე ის არის, რომ რონალდოს მრავალმილიონიანი კონტრაქტი აქვს დადებული ამ ფირმასთან, რომელსაც უნდოდა თავისი პროდუქციის რეკლამის მიზნით, მას ეთამაშა ამ უმნიშვნელოვანეს შეხვედრაში. როგორც „ნაიკის“ წარმომადგენელმა განაცხადა, ეს გადაწყვეტილება თვით რონალდომ და მწვრთნელმა მიიღეს და აქ ფირმა არაფერ შუაშია.

### როცა პოლიტიკოსი აზრს იცვლის

ფრანგული პოლიტიკური პარტიის „ეროვნული ფრონტის“ ლიდერი ჟან-მარი ლე პენი ცნობილია თავისი მეტად რადიკალური, ნაციონალისტური შეხედულებებით. ორი წლის წინათ, როცა ინგლისში ევროპის ჩემპიონატი გაიმართა, ლე პენმა გულშემატკივრებს მოუწოდა მხარი არ დაეჭირათ საფრანგეთის ნაკრებისათვის, რადგანაც იგი ძირითადად უცხოური წარმოშობის ფეხბურთელებისაგან შედგებოდა.

ახლა ლე პენმა მთლიანად შეიცვალა პოზიცია:

– ყველას გვიხარია ნაკრების გამარჯვება. მან მთელი ფრანგი ხალხი სამფეროვანი დროშის ქვეშ გააერთიანა. ის, რომ მასში სხვა ეროვნების წარმომადგენლები გამოდიოდნენ, ისტორიის დეტალებია. მე ყოველთვის ვამბობდი, რომ მთავარი რასა და რელიგია კი არა – არამედ მთელი ქვეყნისადმი სიყვარულია.

### ჯერ ვერ შეარჩიეს

მიუხედავად იმისა, რომ ჰოლანდიის ნაკრები საფრანგეთში წარმატებით გამოვიდა და ნახევარფინალამდე მიაღწია, მისმა მწვრთნელმა გუუს ჰიდინკმა გადადგომა ამჯობინა. ახლა მთელს ქვეყანაში მიდის გამალებული მსჯელობა მისი შესაძლო შემცვლელის თაობაზე. მიმომხილველთა აზრით, ყველაზე მეტი შანსი დაიკავოს ნაკრების ხელმძღვანელის პოსტი აქვს იოჰან კრუიფს. საუბარია იმაზეც, რომ შესაძლოა ეს თანამდებობა მიანდონ „სელტიკის“ ყოფილ მწვრთნელ ვიმ იენსენს ან „ბარსელონაში“ მომუშავე ლუის ვან გაალს.

### უკანასკნელ საათს:

„ტურ-დე ფრანსის“ XV ეტაპი მოიგო იტალიელმა მარკო პანტანიმ და საერთო გუნდურ ჩათვლაშიც დაწინაურდა.

# ნბა-ს მოთამაშეები ნაბიჭვრებს ამრავლებენ...

კალათბურთელთა სექსუალური ცხოვრების კოდექსის ავტორი თავად დენის როდმანი გახლავთ. „ჩიკაგო ბულზის“ მოთამაშე თავისუფალი ცხოვრების მქადაგებელია. თავის მჭერმეტყველებას კი, არც მეტი, არც ნაკლები, „ათი მცნება“ დაარქვა.

როდმანი გვასწავლის: „ორგანიზმის სიმულირება უნდა შეგეძლოს“; „სექსის დაწყებამდე აუცილებლად შხაპი უნდა მიიღო“, ან კიდევ „სასაფლაოზე „იმის“ გაკეთება ნამდვილად არ ღირს“, ანდა „სექსუალური კავშირის დროს სხვა რამეზე ფიქრი (ვთქვათ, ტელევიზორზე, სადაც საკალათბურთო მატჩს თუნდაც შენი მონაწილეობითაც აჩვენებენ) არ შეიძლება და ა.შ.

თუმცა, ისიც სათქმელია, რომ ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის მოთამაშეებს სექსუალური „დამოძღვრა“ ნამდვილად აღარ სჭირდებათ: ისინი ისედაც არაფერს იკლებენ ყოველი თამაშის წინ და შემდეგაც სიამოვნებით. „ან კი სხვანაირად როგორ მოვიქცეთ, როცა ყოველ სასტუმროში მომხიბლავი „ვარიკები“ გველოდებიან? — ხელებს შლის ჩარლზ ბარკლი, — სხვა მოთამაშეებს, იქნებ, თავის შეკავება შეუძლიათ, მე კი ნამდვილად არა“.

ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში რომ ველური ცხოვრება დუღს, ამერიკელები მას შემდეგ მიხვდნენ, რაც მეჯიკ ჯექსონმა შიდსი აიკიდა, უილტ ჩემბერლენმა კი ამაყად განაცხადა, 20 ათასი ქალი მყავს გამოცვლილიო. მაგრამ კალათბურთელთა ზნეობის გარშემო დისკუსია მაინც მხოლოდ მას შემდეგ დაიწყო, რაც პოპულარულ ჟურნალ „Sports ilustreited“ თავის გარეკანზე „ბოსტონ სელტიკს“-ის მოთამაშეს გრეგ მაიორის პატარა ბიჭუნას ხალიდ მაიორის ფოტო წარწერით — „მამიკო, ნეტა სადა ხარ?“ — გამოაქვეყნა. როგორც თავად სპორტსმენები ირწუნებიან, ყველაფერში დამნაშავენი თავად ქალები არიან. სწორედ ისინი აცდუნებენ სპორტსმენებს, „ეგებ ლატარიაში ბავშვიც მოვიგო“, რომელიც მომავალში ფულის გამოსაძალად გამომადგებაო. ქალების დასაცავად ხმა სოციოლოგმა ელზა ენდერსონმა აიმაღლა: ჩვენს საზოგადოებაში რაღაც მნიშვნელოვანი არ უნდა იყოს წესრიგში, თუკი მილიონობით ქალს საკუთარი სხეულის გარდა არაფერი გააჩნია. და ეს მაშინ, როცა მამაკაცები წელიწადში 10 მილიონ დოლარს იღებენ“.

მაგრამ, ჯერჯერობით, სტატისტიკა მაინც „ჯიუტობს“ და ამტკიცებს, რომ ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის 300 მოთამაშიდან თითქმის ყველას ქორწინების გარეშე შეძენილი შვილი ჰყავს, და თუ ვინმეს არა ჰყავს, მის მაგივრად იმ თანაგუნდელებმა „წაიმუშავეს“, ვისაც ორი და სამი ასეთი ბავშვი ჰყავს. ასეთი ვაიმამიკოებით დაკომპლექტებული გუნდი, ალბათ, დაუმარცხებელი იქნებოდა. აბა, წარმოიდგინეთ, რა მოხდებოდა, მათ მწვრთნელს, ლარი ბერდს მოედანზე ერთდროულად პატრიკ იუნგი, ჯონ ჰოიევარდი, შონ კემპი, ლარი ჯონსონი, ჯეისონ კიდი რომ გამოეშვა, სტეფან მერლიუ, ხაკიმ ოლაჯუვონი, ჰერი პეიტონი (და თვით სკოტ პიპენიც) კი თადარიგში დაეტოვებინა.

ხანდახან საქმე მართლაც აბსურდამდე მიდის. ასე, მაგალითად, ორმა ქალბატონმა სულ სამი თვის ინტერვალში ამ ქვეყანას ჰერი პეიტონ-უმცროსი და ჰერი პეიტონ-მეორე მოუვლინეს. თავად „სიეტლ სუპერსონიქსის“ მოთამაშე პეიტონი კი ჯიუტად ირწმუნება, არც ერთი ამ ქალებიდან თვალითაც არასოდეს მინახავსო. საკუთარ შვილებს ბევრი სხვა კალათბურთელიც ემალება. „ვაშინგტონ უაიდერსის“ მოთამაშე ჯონ ჰოუვარდი, რომელმაც კლუბში ყოფნის შვიდი წლის მანძილზე 105 მილიონი დოლარი გამოიმუშავა, მზადაა თავისი ბავშვის დედას თვეში 700 დოლარი გადაუხადოს: „ამ ფასად ხომ აბორტს თუნდაც ყოველ კვირას გაიკეთებს“-ო. ამ უკანასკნელმა კი ფულზეც უარი თქვა და აბორტზეც და უკვე მესამე წელია ბავშვს ზრდის და ჰოუვარდის მილიონებსაც ჯიუტად ელოდება. „ნიუ-იორკ ნიკს“-ის სუპერვარსკვლავმა ლერი ჯონსონმა არაერთხელ სთხოვა თავისი ცხოვრების თანამგზავრ ქალებს ბავშვის მოცილება, მაგრამ სრულიად უშედეგოდ: ჯონსონის „ანგარიშზე“ უკვე ხუთი ქორწინებისგარეშე ბავშვი „ირიცხება“.

ზოგიერთი კალათბურთელის სექსუალური გმირობა ტვირთად მთელ გუნდსაც აწვება. ასე მაგალითად, შონ კემპი წლის მანძილზე 82 კალენდარული მატჩის თამაშსა და რამდენჯერმე მამად გახდომასაც ასწრებს, თანაც წუხს კიდეც: „ისე დავიღალე, თითქოს ყოველდღე ბომბებს ვისროდეო“. ბომბებს არა, მაგრამ, როგორც სპეციალისტები თვლიან, კემპი მოედნის მიღმა ბევრად მეტს „მუშაობს“. „ოღონდ არ იფიქროთ, რომ ვლოთობ“. — თავს იმართლებს კემპი თაყვანისმცემლების წინაშე.

გულშემატკივრებიც კემპს დუმილითა და გაგებით უქნევენ თავს. ან კი როგორ არ გაუგონ, როცა შვიდი შვილიკოს მამიკო ისე მოიღალა, რომ დღეგამოშვებით ვარჯიშებს აცდენს და თანაც გამუდმებით წუწუნებს, წელიწადში სამნახევარი მილიონი დოლარი (?!) არ მყოფნისო. თანაგუნდელს დახმარების სიტყვას სხვა კალათბურთელებიც, მაგალითად ნეიკ მაკმილანი აწვევენ: „სადაც ფულია, ქალებიც იქ არიან, თანაც, როგორც წესი — ტუტუცი, მაგრამ ლამაზი ქალები. მათ „იმის“ გარდა არაფრის კეთება არ შეუძლიათ. ამ ქალებისთვის სექსი სიყვარული კი არა, ფულის გამოძალვის საშუალებაა“.

## სხვადასხვა მერიდიანზე

**კეტბურთი.** „ბეისბოლის უმთავრეს ლიგაში“ (MLB) გაიმართა შეხვედრები „ოკლენდი“ — „ტამპა ბეი“ 4:7. „ნიუ-იორკ მეტსი“ — „ჩიკაგო ქაბს“ 5:0.

**ველოსპორტი.** Tour de France-ს მეთოთხმეტე ეტაპზე (186,5 კილომეტრი) ავსტრალიელმა სპორტსმენმა ო'გრეიდიმ იმარჯვა, მეორეზეა იტალიელი კალკიატერა. საერთო ჩათვლაში გერმანელი იან ულრიჰი ლიდერობს, რომელმაც შარშანაც მოიგო ეს ტურნირი. მეორეზეა ამერიკელი ბობ იულიჰია. მომდევნო ეტაპები ალპების მაღალმთიან რაიონებში შედგება.

**რალი.** ახალი ზელანდიის რბოლა მოიგო ფრანგმა დიდიე ორიოლმა, მეორე ადგილზე გავიდა ესპანელი პილოტი კარლოს საინცი (ორივე მრბოლი „ტოიოტას“ გუნდის წევრია). მესამე იყო ბრიტანელი ბერნსი („მიცუბიში“).

მოამზადა გია ახალაძემ

**საფეხბურთო კლუბი თბილისის „დინამო“ ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ მოულოდნელად გარდაიცვალა ბ. პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის ტექნიკური დირექტორი**

**ზურაბ ნოზაძე**

**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

## „ტოტო-ლოტო“ — მოთამაშეთა სიხარული!

*26 ივლისს ჩატარდა ლატარია „ლოტო 6-42“, თანმხლები „სუპერ-7“ ტირაჟის მეცამეტე გათამაშებით.*

**«ლოტო 6-42»**-ის მოგებახვედრილი რიცხვები: **8, 15, 20, 28, 36, 42.**

6 ციფრი ვერავინ გამოიცნო.

5 ციფრი ვერავინ გამოიცნო. 516.92 ლარი გადავიდა მომდევნო ტირაჟში

4 ციფრი – 19.60 ლარი.

3 ციფრი – 1.80 ლარი.

**„სუპერ-7“**-ის მომგებიანი ციფრებია: 8153992

**„ჯეკ-პოტი“ 47.069 ლარი გადავიდა მომდევნო ტირაჟის საპრიზო ფონდში.**

**შემდეგი** ტირაჟი შედგება 2 აგვისტოს, ჯეკ-პოტი **47.069** ლარი.

***ითამაშეთ ლატარია ტოტო-ლოტო! იგი თქვენი გამდიდრების შანსია! გისურვებთ წარმატებას!***

საქართველოს სპორტის ეროვნული ფონდი

## შაში
## ჩეჩნეთი ატარებს მსოფლიო ჩემპიონატს

ეს ცნობა, რა თქმა უნდა, მეტად მოულოდნელია. ჩეჩნეთი სულ მალე ქ. ჯოხარში (გროზნო) მოაწყობს მსოფლიო ჩემპიონატს რუსულ შაშში. დღეისათვის ყველაფერი მოლაპარაკებული და შეთანხმებულია. ჩეჩნეთში იმყოფებოდა რუსული შაშის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი რომან კლიმაშევი. აი, რამდენიმე ნაწყვეტი მისი განცხადებიდან:

– რესპუბლიკის საჭადრაკო-საშაშო ფედერაციას შამილ ბასაევი ხელმძღვანელობს, რომელიც, სხვათა შორის, საკმაოდ კარგი მოჭადრაკეა, ახლა მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებს. მან გამოსცა დადგენილება, რომელიც თითქმის ყველა ძირითადი სამინისტროსა და უწყების ხელმძღვანელებს ავალდებულებს მონაწილეობა მიიღონ ჩემპიონატის ორგანიზაციაში.

– საშუალება მქონდა გამეგო რესპუბლიკის ერთ-ერთი ხელმძღვანელის აზრი. იგი თვლის, რომ დღეს სახელმწიფომ ბევრი უნდა იზრუნოს ახალგაზრდობასა და მოზარდ თაობაზე. მთავარი მიზანია მათი ყოველმხრივი განვითარება. შაში, მისი სიტყვით, ხელს უწყობს ერის ინტელექტის განვითარებას, გასწავლის „წინასწარ ფიქრს“, გათვლას. რესპუბლიკაში უყვართ სპორტის ეს სახეობა, ბევრნი ბავშვობიდან თამაშობენ.

მსოფლიო ჩემპიონატში 16-18 მოშაშე მიიღებს მონაწილეობას ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან, ისრაელიდან, გერმანიასა, აშშ-სა და მონღოლეთიდან. ტურნირი წრიული სისტემით ჩატარდება. თითოეული შეხვედრა ოთხი 45-წუთიანი პარტიისაგან შედგება.

## სპორტი ცისფერ ეკრანზე

**28 ივლისი, შაბათი**

***საქართველოს ტელევიზია I არხი.*** „ასპარეზი“ (22.15). ***კავკასია.*** „ვარსკვლავები“ (17.45). ***ტელეკომპანია VII არხი.*** კეთილი ნების თამაშები (10.00). ***რუსეთის ტელევიზია. НТВ.*** კეთილი ნების თამაშები (15.00). ***НТВ плюс спорт.*** ფრენბურთის გაკვეთილები. (7.05, 15.10). ტრიატლონი (8.15), კრივი (9.10). საჭადრაკო მიმოხილვა (15.30). კალათბურთი (16.00). კეთილი ნების თამაშები (18.00; 20.00). ***EUROSPORT.*** ფეხბურთი (10.30; 22.00). ველოსპორტი (12.00; 16.00; 17.00; 0.00). კარტინგი (14.00; 2.00). საცხენოსნო სპორტი (19.30). ავტოსპორტი (20.30).

**29 ივლისი, ოთხშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. II არხი.*** რაგბის მოყვარულთათვის (21.10). ***კავკასია.*** „ვარსკვლავები“ (17.45). ***ტელეკომპანია VII არხი.*** ავტოსპორტი (08.05). კეთილი ნების თამაშები (10.00; 18.10). ჩოგბურთი (15.30). ფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი (0.10). რუსეთის ტელევიზია. ***ОРТ-1.*** რუსეთის საფეხბურთო ჩემპიონატი (19.00). მსოფლიო ჩემპიონატი კალათბურთში (23.20). ***НТВ.*** საფეხბურთო კლუბი (0.15). ***НТВ плюс спорт.*** ბოდიბილდინგის გაკვეთილები (7.05; 15.10). ავტოსპორტი (8.05). კეთილი ნების თამაშები (10.00; 18.00; 20.00). ჩოგბურთი (15.30). რუსეთის საფეხბურთო ჩემპიონატი (0.55). ***EUROSPORT.*** ველოსპორტი (10.30; 16.00; 17.00; 0.00). ჩოგბურთი (12.30; 13.00). კალათბურთი (19.30). ფეხბურთი (22.00). მოტოსპორტი (3.00).

**30 ივლისი, ხუთშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. კავკასია.*** „ვარსკვლავები“ (17.45). ***ტელეკომპანია VII არხი.*** კეთილი ნების თამაშები (10.00; 20.00). ჩოგბურთი (15.25; 18.30). ***რუსეთის ტელევიზია. ОРТ-1.*** კალათბურთი (14.05; 23.55). ***НТВ.*** კეთილი ნების თამაშები (15.00). ***НТВ плюс спорт.*** მაგიდის ჩოგბურთის გაკვეთილები (7.05; 15.10). რუსეთის საფეხბურთო ჩემპიონატი (8.15; 17.00). კეთილი ნების თამაშები (10.00; 18.00; 20.00). ჩოგბურთი (15.25; 17.30; 1.25). ***EUROSPORT.*** გოლფი (10.30). ველოსპორტი (11.30; 16.00; 17.00; 0.00). ჩოგბურთი (13.00). მოსტოსპორტი (15.00; 2.00). მსოფლიო ჩემპიონატი კალათბურთში (19.30; 21,00). მძლეოსნობა (22.00). კრივი (23.00).

**31 ივლისი, პარასკევი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** „ასპარეზი“ (21.15). ***კავკასია.*** „ვარსკვლავები“ (17.45). ***ტელეკომპანია VII არხი.*** კეთილი ნების თამაშები (10.00; 18.10). ჩოგბურთი (15.25). რუსეთის ტელევიზია. ***ОРТ-1.*** მსოფლიო ჩემპიონატი კალათბურთში (13.50; 0.30). ***НТВ.*** კეთილი ნების თამაშები (15.00). საფეხბურთო კლუბი (18.25). ***НТВ плюс спорт.*** საჭადრაკო გაკვეთილები (7.05; 15.10). ჩოგბურთი (8.30; 15.25). კეთილი ნების თამაშები (10.00; 18.00; 20.00). კრივი (17.15; 0.55). ***EUROSPORT.*** ველოსპორტი (10.30; 16.00; 17.00; 0.00). ჩოგბურთი (13.00; 21.00). მოტოსპორტი (15.00). მძლეოსნობა (23.00).

**11 აგვისტო, შაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. რუსთავი 2.*** დოკუმენტური ფილმი „გარი ლინეკერის ოქროს ბუცები“ (20.30). ***კავკასია.*** „ვარსკვლავები“ (17.45). რუსეთის ტელევიზია. ***ORT-1.*** მსოფლიო ჩემპიონატი კალათბურთში (15.20). ***PTP.*** რუსეთის საფეხბურთო ჩემპიონატი (16.55). ***НТВ.*** რუსეთის საფეხბურთო ჩემპიონატი (0.40). ***REN TV.*** სპორტული მიმოხილვა (20.30). ***НТВ плюс спорт.*** ფრენბურთის გაკვეთილები (9.40). კეთილი ნების თამაშები (10.00, 18.00; 20.00). კალათბურთი (15.15). რუსეთის საფეხბურთო ჩემპიონატი (0.45). ***EUROSPORT.*** მძლეოსნობა (12.30). ავტოსპორტი (14.00; 20.30; 23.00). ველოსპორტი (15.00; 17.30; 0.00). ჩოგბურთი (16.00), ფორმულა-3000 (21.30).

**2 აგვისტო, კვირა**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** ფეხბურთი. საქართველოს სუპერთასი. „დინამო“ (ბათუმი) — „დინამო“ (თბილისი). (17.55). ***რუსთავი-2.*** სპორტული პროგრამა (20.30). ***კავკასია.*** „ვარსკვლავები“ (18.20). ***კომპანია VII არხი.*** საფეხბურთო კლუბი (16.55), კეთილი ნების თამაშები (18.00). „ფიფას ჟურნალი“. (0.50). ***რუსეთის ტელევიზია. ОРТ-1.*** საფეხბურთო მიმოხილვა (16.05). ***НТВ.*** კეთილი ნების თამაშები (15.30), ***НТВ.*** კეთილი ნების თამაშები (10.00; 18.00; 20.00). რუსეთის ჩემპიონატი ფეხბურთში (15.15; 16.55). საჭადრაკო მიმოხილვა (17.30). „ფიფას ჟურნალი“ (1.30). ***EUROSPORT.*** ველოსპორტი (11.45; 12.30; 15.00; 23.00). ავტოსპორტი (13.00; 13.15; 20.30). ფორმულა-3000 (13.50). მძლეოსნობა (21.30). ჩოგბურთი (2.00).

## ფორმულა-1 „მაკლარენის“ უპირატესობით

„ფორმულა-1“-ში მსოფლიო ჩემპიონატის ტიტულისათვის ბრძოლა, ძირითადში, „მაკლარენისა“ და „ფერარის“ გუნდებს შორის მიმდინარეობს. გასულ კვირა დღეს ალპური ეტაპი – „ავსტრიის დიდი პრიზი“ „მაკლარენის“ უპირატესობით წარიმართა: მისმა პილოტებმა ფინელმა მიკა ჰაკინენმა და შოტლანდიელმა დევიდ კულჰარდმა, შესაბამისად, პირველი და მეორე ადგილები დაიკავეს. „ფერარის“ ლიდერი, გერმანელი მიხაელ შუმახერი მხოლოდ მესამე ადგილზე იყო.

## ყურადღება!

**კვირიდან – კვირამდე სპორტული გადაცემების ტელეპროგრამა ქვეყნდება „ლელოს“ ყოველი სამშაბათის ნომერში.**

## კროსვორდის მაგიერ

**გთავაზობთ იტალიის სერია „A“-ში მოთამაშე ფეხბურთელების ფოტოებს. გამოიცანით მათი ვინაობა და გუნდები**



1



2



3

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდ «სამხრეთამერიკული ფეხბურთის» პასუხები:**

თარაზულად: 7. არდილესი, 10-11. ორტეგა, 12. რუჯერი, 15. რომარიო, 16. „ოლიმპია“, 17. ამარილდო, 19. ბილარდო, 21. კემპესი, 21. გოიკოეჩეა, 25. „ბარსელონა“, 28. ფონსეკა, 31. ადემირი, 32. ანჯელილო, 33. გარინჩა, 37. იასალდე, 40-41. რატინი, 42. „აცტეკა“, 45. სამორანო. შვეულად: 3. რედონდო, 4. სანტანა, 5. სიმეონე, 6. გალიეგო, 11. ალდაირი, 12. რატინიო, 17. ალმეიდა, 18. ორლანდო, 20. ონეგა, 21. კოსტა, 29. გერსონი, 30. „ალიანსა“, 34. ანდრადე, 35. „სანტოსი“, 36. ფიგეროა, 37. ირიარტე. დიაგონალურად: 13-1, ხუანიტო, 8-22. „ნასიონალი“, 2-14. „რეფორმა“, 23-9. კლოდოალდო, 38-46. რინკონი, 43-26. კარბახალი, 27-44. ლეონიდასი, 47-39. ქუნიორი.

## საჭადრაკო ამოცანა

ა. მაჩაიძე (საქართველო)



**შამათი 4 სვლაში**

**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:**

**მფa3!**

**1. ...c1ლ 2. ეb2X,**

**1. ...c1მ 2. მe3X,**

**2. ...მფc1 2. ლh1X.**

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს“ სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე